გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N20 (9236) | 20 ივლისი 2017 წელი | ფასი 50 თეთრი

3

ინფრასტრუქტურული პროექტის მასშტაბები გაიზარდა

სკრინინგ-პროგრამა ნაბაკევის თემის მოსახლეობისათვის

2

გარე განათების სამუშაოები სოფელ ყვირიკეში მალე დასრულდება

6

ნუგზარ მიქაძე ჩვენი დროის გმირია

“იდეების ომს ვერ მოვიგებთ წიგნების გარეშე!”

პროფკავშირების შეხვედრა-სემინარი პედაგოგებისათვის

5

3

ტრენინგები საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად

დღეს სამოქალაქო კულტურის დეფიციტია

Docendo discimus _ სწავლებისას ვსწავლობთ!

4

რიგგარეშე სხდომა რიგიანად, ანუ საქმიან ვითარებაში ჩატარდა

ლევან გაბეჩავა

რიგგარეშე სხდომა გამართა 17 ივლისს მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომლის დღის წესრიგშიაც 8 საკითხი იყო.

სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა.

მოვუსმინოთ ერთმანეთს, ვიყოთ მეტად კორექტულები! _ ამ სიტყვებით სხდომის თავმჯდომარემ ბატონებს, ემზარ შუბლაძეს, ჯონი ახობაძეს, იმედა გოგავასა და მამუკა ბიბილეიშვილს მიმართა, როცა მათ საუბარს კამათის ელფერი მიეცა.

საკითხი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარისხს, ასევე, ამ პროცესის მეტი გამჭვირვალობის, მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ჩართულობის აუცილებლობას ეხებოდა.

საკრებულომ განიხილა საკითხები, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების თაობაზე.

მუნიციპალიტეტის საკრებულომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესამისად განიხილა აგრეთვე საკითხი "სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2017 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის № 38 261 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

გარე განათების სამუშაოები სოფელ ჯვიჰიჯეში მაღე დასრულდება

სამტრედია-ხონის საავტომობილო მაგისტრალზე, სოფელ კვირიკეში, გასულ წელს, სოფლის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხით მოხდა 2 კილომეტრი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზის განახლება. ამის შემდგომი ეტაპი გარე განათების ლამპიონების დამონტაჟება იყო. ნაბაკევის თემის სოფელ კვირიკეში ამჟამად ლამპიონების განახლების პროცესი მიმდინარეობს. სამუშაოების მიმდინარეობას მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია დაკვირდა. "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში მან აღნიშნა: "სოფელ კვირიკეს მცხოვრებნი აქტიურად მიუთითებდნენ გარე განათების პრობლემაზე და ითხოვდნენ მის მოგვარებას, ჩვენ რეაგირება დროულად მოვახდინეთ და თქვენ ხედავთ, უკვე იცვლება გარე განათების ლამპიონები. სადაც ახლა ვერ მოესწრება, ახლო მომავალში დამონტაჟდება."

ნაბაკევის თემის მაჟორიტარი დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ვაჟა სტურუა: "შარშან გავიყვანეთ ელექტროსადენი, ყოველ მეოთხე ბოძზე დამონტაჟდა ღამის ლამპიონები, წლეულს კი გარე განათების სამუშაოები გრძელდება და მიმდინარეობს გამოტოვებულ ადგილებზე ნათურების დამატება. მადლობა ბატონ ვალერიანეს და კომუნალური გაერთიანების გარე განათების სამსახურის უფროსს, ალექსანდრე კლარჯეიშვილს. ნაბაკევში ყველგანაა გარე განათება, ხუნჯულაურში, ნინუაკუთხეში, ჩხენიშშიც მიმდინარეობს ნათურების დამატების პროცესი. "ძალიან დიდი მადლობა მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით ვუთხრა მუნიციპალიტეტის გამგეობას, ბატონ ვალერიანეს და ჩვენს თემში გამგებლის წარმომადგენელს და ჩვენს მაჟორიტარ დეპუტატს". _ გვითხრა კვირიკეს მცხოვრებმა, მაია მიქელაძემ.

ნათია ნაცვლიშვილი

სკრინინგ-პროგრამა ნაბაკევის თემის მოსახლეობისათვის

ნათია ნაცვლიშვილი

უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებში გრძელდება. როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია აცხადებს, პროგრამის ფარგლებში მომსახურება ყველა სოფლის მცხოვრებთ გაეწევათ. მორიგი პუნქტი, სადაც როგორც ქალბატონებს, ისე მამაკაცებს გამოკვლევები ჩაუტარდათ, ნაბაკევის თემია. ვალერი ფოცხვერიას თემში ვიზიტიც ამ საკითხს დაუკავშირდა. ადმინისტრაციულ შენობაში ხალხის სიმრავლე დილიდანვე შეინიშნებოდა, დასავლეთ საქართველოს ონკოლოგიის ცენტრის (უფროსი კობა კიკნაველიძე) სპეციალისტები უფასო გამოკვლევებს ატარებდნენ. ამჯერად ქუთაისის ბრიგადა მუშაობდა. მიმდინარეობდა საშვილოსნოს გამოკვლევა 25-დან 60 წლის ქალბატონებისათვის, 50-დან 70 წლის მამაკაცი პაციენტებისათვის _ პროსტატის გამოკვლევა, ხოლო, 50-დან 70 წლის ორივე სქესის პაციენტებისათვის მსხვილი ნაწლავის გამოკვლევა. "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში ნაბაკევის თემის ოჯახის ექიმმა ხათუნა კობახიძემ აღნიშნა: "სახელმწიფო პროგრამები ჯანდაცვის კუთხით ძალიან კარგად მუშაობს ჩვენს ქვეყანაში, სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით, ეს დამატებითი შესაძლებლობაა, უფასო გამოკვლევები ჩაიტარონ, სკრინინგს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ხდება დიაგნოსტირება დაავადების განვითარების ადრეულ ეტაპზე, მოსახლეობის მხრიდან დაინტერესება მართლაც დიდია. მიმდინარეობს მკერდის გამოკვლევა, მამოლოგია, მაგრამ ვინაიდან აპარატის ადგილზე მოტანა არ ხერხდება მისი დიდი მოცულობის გამო, შევაგროვეთ კონტინგენტი, უახლოეს დღეებში კლინიკა თავადვე უზრუნველყოფს მოსახლეობის ტრანსპორტირებას, ადგილზე მათ გამოკვლევას. ეს გულისხმობს მამოლოგთან კონსულტაციასაც, ადგილზე ხორციელდება ქალბატონების გამოკვლევა, პაპ-ტესტის ჩატარება და მამაკაცთა პროსტატის კვლევები, სწორი ნაწლავის კვლევა ლაბორატორიული ტესტებით, დღეს შედარებით ქალები უფრო გამოირჩევიან აქტიურობით."

ოთარ წულეისკირი, გამგებლის წარმომადგენელი ნაბაკევის თემში: " მადლობა მინდა ვუთხრა ქუთაისის ონკოლოგიის ცენტრის ექიმებს, ჩვენს თემში შემავალი ხუთივე სოფლის მოსახლეობა აქტიურად ჩაერთო ამ პროგრამაში, ნაბაკევის თემში 111 ადამიანი დარეგისტრირდა, გასათვალისწინებელია, რომ 21 ადამიანი გაიგზავნება ქუთაისში მკერდის გამოსაკვლევად, უღრმესი მადლობა ქუთაისის ბრიგადას. ვალერიანე ფოცხვერიას დავალებით, ჩვენმა სპეციალისტებმა მოსახლეობა გააფრთხილეს ამ გამოკვლევების შესახებ, ყოველი კუთხე-კუნჭული მოიარეს და ექიმებიც კმაყოფილნი არიან მოსახლეობის ამ აქტიურობის გამო. მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია: "ე. წ. სკრინინგის პროგრამა აქტიურად მიმდინარეობს. როგორც მამაკაცები, ასევე ქალბატონები იტარებენ სხვადასხვა სახის გამოკვლევებს, მადლობა ბატონ ვაჟას და ოთარს, რომ მოხდა მოსახლეობის მობილიზება."

ვაჟა სტურუა, ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი საკრებულოში: " აუცილებელი იყო ამ პროგრამის განხორციელება, დილიდან მოდიან აქტიურად მოქალაქეები, "ოფთალმიჯის" კლინიკის წარმომადგენლები იყვნენ, იმდენი იყო რაოდენობა, ვერ მოასწრეს ყველა მოქალაქის მიღება და დაგვჭირდა განმეორებითი ვიზიტი, მათ ამ დღეებში ველოდებით".

ინფრასტრუქტურული პროექტების მასშტაბები გაიზარდა

ქეთევან ჭელიძე

მუნიციპალური განვითარების პროგრამით ამჯერად გზა დაბა კულაშში იგება. მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია მიმდინარე სამუშაოებით დაინტერესდა და თავის გუნდთან ერთად იქ ჩავიდა. ივლისის ხვატის მიუხედავად მუშაობა ერთი წუთითაც არ წყდება. "დრო გამოცდის, რამდენად ხარისხიანად კეთდება. ამ ქუჩით გზა მელაურის თემს უკავშირდება, იქიდან კი _ ქალაქს. ასე რომ, ერთ-ერთი პრიორიტეტული მონაკვეთია." _ აღნიშნა გამგებელმა თამარ მეფის ქუჩაზე სამუშაოების დათვალიერებისას.

მოსახლეობა კმაყოფილებას გამოთქვამს გზის განახლებით. დიდი ხანია, ქუჩა ავარიული იყო და შეკეთებას საჭიროებდა.

"დაბა კულაშში 950 გრძივ მეტრზე ოთხი მიმართულებით იგება გზები: გაგოშიძის, 9 აპრილის, თამარ მეფის და აღმაშენებლის ქუჩებზე. პარალელურად მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს ბესიკისა და არგონავტების ქუჩების შესაკეთებლად. დაბის შემდეგ გზების მშენებლობა ნაბაკევის თემში გაგრძელდება. სამუშაოებს გამოცდილი კომპანია შპს "ინდიკო" მეიჯარის წესით აყვანით შპს "ლატექსთან" ერთად ახორციელებს". _ გვიხსნის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა სამტრედიაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე საერთო საცხოვრებელი სახლების ფასადებზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოებიც შეამოწმა. მოსახლეობას შეხვდა, მათი შენიშვნები და წინადადებები მოისმინა. მადლობაც გადაუხადეს გამგებელს კარგი საქმის წამოწყებისთვის. წლებია სამტრედიაში ამ კუთხით ასეთი მასშტაბური პროექტი არ განხორციელებულა.

"ამ ეტაპზე 10 საერთო საცხოვრებელი სახლი რემონტდება რუსთაველის ქუჩაზე, რისთვისაც 405 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო. შპს "აბეკამ" ტენდერი 397 ათას ლარად მოიგო და სამუშაოებსაც ის ასრულებს. მიმდინარეობს ფასადების რეაბილიტაცია, იცვლება წყალსაწრეტი მილები, თუნუქის ფირფიტებით ერთიანი სახე მიეცემა აივნებს, სამუშაოები "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში წარმოებს". _ გვიხსნის გამგებლის პირველი მოადგილე დავით ბახტაძე.

"ჩვენი აქ მოსვლა იმას არ ემსახურება, მხოლოდ ვინმეს დავენახოთ. გვინდა, ყურადღებით დავათვალიეროთ, ვნახოთ, რამდენად ხარისხიანად აკეთებენ საქმეს. შენიშვნები მაქვს, მცირე ხარვეზებიც აღმოვაჩინე. ეს ახლავე უნდა გამოსწორდეს ვიდრე ყველაფერი დასრულდება. სხვათა შორის, "მიუნხენის ლესვას", ეძახიან იმას, რა მეთოდითაც ამ სახლების ფასადები რემონტდება. საკმაოდ ძვირადღირებულია, მაგრამ გამძლეა და ჩვენი პირობებისათვის საუკეთესო." _ განმარტავს ვალერიანე ფოცხვერია.

სამუშაოების პერიოდი 4 თვეს მოიცავს. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი თვეა, რაც მიმდინარეობს. სულ ქალაქის ტერიტორიაზე 100 საცხოვრებელი სახლია და შესაძლებლობის ფარგლებში ეტაპობრივად მოხდება მათი გარემონტება.

ტრენინგები საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად

ნათია ნაცვლიშვილი

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მიერ ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებისათვის სემინარი მოეწყო. პროექტი, სახელწოდებით "თვითმმართველობის არჩევნების შესახებ ცნობიერების ამაღლება ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციებისა და თვითმმართველობების ჩართულობით" ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება. იგი მიზნად ისახავს მოახლოვებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. ამ პროექტის ფარგლებში გაიმართა ეს შეხვედრა, რომელიც სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ტრენერებმა საჯარო მოხელეებთან გამართეს. ნინო შარაშენიძემ და ქეთევან პავლაძემ აუდიტორიას მიაწოდეს ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების მნიშვნელობაზე და განმარტეს, თუ რა ვალდებულებები ეკისრებათ ადგილობრივ თვითმმართველობებს საარჩევნო პერიოდის განმავლობაში. იმსჯელეს საკითხებზე, როგორიცაა ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივი გამოყენება, ამომრჩევლის მოსყიდვა, წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისათვის ხელის შეწყობა და სხვა.

საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება ისჯება 2000 ლარის ოდენობით. პუნქტობრივად იქნა განხილული კანონის ესა თუ ის მოთხოვნა. ქვეყნის მასშტაბით უკვე არსებობს კანონდამრღვევთა დაჯარიმების არაერთი პრეცენდენტი. ამა თუ იმ პარტიის საჯარო შეკრებების, მანიფესტაციებისა და დისკუსიების გამართვაში ხელის შეწყობას თვითმმართველობის ორგანოებს საარჩევნო კოდექსი ავალდებულებს. საარჩევნო კოდექსი ასევე აკისრებს თვითმმართველობებს, ისეთი შენობა გამოჰყოს, სადაც შშმ პირები თავისუფალ გადაადგილებას შეძლებენ. მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების გასამართად სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობები უსასყიდლოდ ეთმობა საარჩევნო კომისიებს. საუბნო კომისიის წევრობის უფლება არა აქვთ მერს, გამგებელს, საკრებულოს თავმჯდომარეს და მათ მოადგილეებს. თუ ისინი მაინც მოხვდებიან კომისიაში, საარჩევნო კოდექსი იძლევა შესაძლებლობას, გასაჩივრდეს ეს ქმედება. აკრძალულია საარჩევნო პლაკატების ჩამოხსნა, ჩამოხევა ან დაფარვა-დაზიანება, თუ ისინი აკრძალულ ადგილებში არ არის გაკრული. წინასაარჩევნო მოწოდებებისათვის ხელის შეშლა, სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამორთმევა, სააგიტაციო მასალის განადგურება 1000 ლარით ჯარიმდება, თუ ამას თანამდებობის პირი სჩადის, ჯარიმა 2000 ლარია. დარღვევათა განხილვების მიზნით იქმნება უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობს. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება არამიზნობრივად არის დასჯადი, ამა თუ იმ კანდიდატს და საარჩევნო სუბიექტს ეკრძალებათ საჯარო მოხელის გამოყენება საარჩევნო აგიტაციაში. საჯარო მოხელეებმა მაქსიმალურად უნდა შეიკავონ თავი და ნებისმიერი პოლიტიკური სუბიექტის მიმართ პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათია მხოლოდ სამუშაო დროის დასრულების, ანუ 6 საათის შემდეგ გამოავლინონ. საჯარო სამსახურის შესახებ კანონი საჯარო მოხელეებს ავალდებულებს, მხოლოდ მათთვის დაკისრებული საქმიანობა გასწიონ. ნაჩვენები იქნა საინფორმაციო კლიპები, სადაც ნათქვამი იყო, რომ საჯარო მოხელეებს არ აქვთ სამუშაო საათების პერიოდში აგიტაციის გაწევის უფლება. ასევე არჩევნებისწინა 60 დღის განმავლობაში დაუშვებელია ყოველგვარი საბიუჯეტო ცვლილება. საარჩევნო მიზნით მატერიალური ფასეულობის მიღება ისჯება კანონით. ამომრჩევლის მოსყიდვა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონით, საარჩევნო კოდექსითა და სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობით რეგულირდება. ამომრჩევლის მოსყიდვა ისჯება სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით. ცესკოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე, საჯარო მოხელეებს სამუშაო საათებში ასევე ეკრძალებათ სოციალურ ქსელში რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდამჭერი მოწოდებების გაზიარება.

დღეს სამოქალაქო კულტურის დეფიციტია

Docendo discimus _ სწავლებისას ვსწავლობთ!

“ყოველ წელს ერთი და იგივე მეორდება: შრომობ, ზრუნავ, განიცდი მათ საწუხარს, გიხარია მათი უმნიშვნელო წარმატებაც კი; ცდილობ, დაიცვა ისინი, როცა საყვედურის ადრესატები არიან, თუნდაც სამართლიანის... ერთი სიტყვით, მთელი წელი მათი ცხოვრებით ცხოვრობ. მერე რა, რომ სხვისი შვილები არიან და შენთან მცირე ხნით მოვიდნენ სამეცადინოდ, რათა ეროვნული გამოცდები ჩააბარონ. ისინი იმდენად შინაურები, ახლობლები ხდებიან, ვერც კი წარმომიდგენია, რომ ერთ დღესაც, როგორც გასულ წელს, ეს ბავშვებიც წავლენ. შეიძლება, ისე ჩაიაროს ცხოვრების დიდმა ნაწილმა, ვერც მოიკითხო ან მოგიკითხონ, თუმცა მათ ადგილს გულში ვერავინ დაიკავებს, არასოდეს გახდებიან ყოფილები... მეამაყებით, მეიმედებით და, უბრალოდ, მჯერა თქვენი!” _ ეს პედაგოგ კახა გალდავას სიტყვებია იმ მცირე ტექსტიდან, რამდენიმე ხნის წინ სოციალურ ქსელში რომ გამოაქვეყნა, მოწაფეებს უძღვნა.

33 წლის ისტორიკოსს ჩვენი ქალაქი საკმაოდ კარგად იცნობს. იშვიათი გამონაკლისია _ აბიტურიენტებს თვითსურვილად აქვთ სიამოვნებით ემეგობრდონ მას. იციან, “ქორონიკონის კენტი და ლუწი”, პრეისტორიული ხანიდან მოკიდებული ათასი მოვლენა-ფაქტი მარტივ სისტემად აიკინძება, ადვილად აღსაქმელად დალაგდება შემოქმედებითად მოფიქრალი მასწავლებლის მიერ.

“სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლიდან იღებს სათავეს ჩვენი მეგობრობა, _ კოლეგაზე გვესაუბრება ბატონი ირაკლი მაჭავარიანი. უღალატო, ჭირსა თუ ლხინში მხარში მდგომ, უმცდარ მრჩეველს ადამიანური ღირსებებიც გამოარჩევს. პროფესიონალია, ავტორიტეტით სარგებლობს არა მარტო სამტრედიაში, არამედ მთელ იმერეთში.”

წარმატებული მოსწავლეების სიმრავლე ერთ-ერთი პირველი (და უმთავრესი) მაუწყებელია პედაგოგის პროფესიული სიძლიერისა. ამის გათვალისწინებით, ყოყმანი აღარ დაგვჭირვებია, ინტერვიუ ჩავეწერა ბატონ კახასთან და მისი აზრი “სამტრედიის მაცნეს” მკითხველისთვის ინტერესმოუკლებლად მიგვეჩნია.

_ წელს ქართული ენისა და ლიტერატურის ერთიან ეროვნულ გამოცდაზე სამსჯელოდ მოცემული იყო თემა: “ჩვენი ქვეყნის ისტორიით ვამაყობთ, მაგრამ მისი შესწავლითა და ღრმად გააზრებით თავის შეწუხება არ გვინდა”. ახალგაზრდა ისტორიკოსს რა მოსაზრება აქვს ამ საკითხის შესახებ?

_ რომ ვამაყობთ, ეს უცილობელია, თუმცა ძირისძირამდე წვდომის, გასიგრძეგანების დიდი ნდომა, გითხრათ სიმართლე, ძნელადაა შესამჩნევი. თავმოწონება გამოიხატება მხოლოდ ფსევდოპატრიოტული ლირიკით, გულზე მჯიღის ცემითა და ზღვარგადასული ღრეობისას წარმოთქმული სადღეგრძელოებით. ხშირია შემთხვევა, მცდარი წყაროს ნამდვილობას მიმტკიცებენ, მიუხედავად იმისა, მათ იციან ჩემი პროფესია. ასეთ დროს ვცდილობ, სიმშვიდე შევინარჩუნო, კამათს მოვერიდო, მოსალოდნელი შეურაცხყოფა ავირიდო. ძნელია, ზოგჯერ გამორიცხულიც კი, შეხედულება გამოაცვლევინო ადამიანს.

მეორეა ის, ვინ იცის კარგად ისტორია. არასოდეს მითქვამს მსგავსი რამ. ეს არც თავმდაბლობაა, არც ყალბი პათეტიკა. შეუძლებელია სრულად შეცნობა იმისა, რაც ყოველდღიურად იწერება...

ერთგვარი თავსატკივარია სასკოლო სახელმძღვანელოები _ ხშირად უგეგმოდ შედგენილი. უგეგმობას ვამბობ და ვგულისხმობ თორმეტწლიან სასწავლო პროგრამაზე არათანაბრად გადანაწილებულ მასალას, ბავშვს მე-7 კლასში არ უნდა მიაწოდო დამამთავრებელი საფეხურის დონისთვის გათვლილი ინფორმაცია, როცა, მაგალითად, მე-11 კლასელს 1832 წლის შეთქმულებას მხოლოდ ანოტაციურად აცნობ: ვინ იყო საქმის თაოსანი, წარმატებული იყო ამბოხი თუ არა, რა განაჩენი გამოუტანეს აჯანყებულებს და მორჩა. ჩვენი მთავარი სავაივაგლახო სწორედ ესაა, საფუძვლიანად გააზრების ჩვევის უქონლობა. სამწუხაროდ, ეს ეხება ყველა სფეროს, არა მხოლოდ პედაგოგიკას...

_ პირად პრაქტიკაში მაინც რომ აღმოფხვრათ შემჩნეული შეცდომები, ამისთვის გაქვთ შემუშავებული სხვადასხვაგვარი წესი თუ თქვენი მეთოდი მყარი და უცვლელია?

_ საზოგადოდ, მესმის, სიმყარე რაღაც თვალსაზრისით პლუსია, მაგრამ სწავლების პროცესში თუ ყოველ ჯერზე საკუთარი თავის გამოცდის გულისთვის მაინც არ ცვალე ხერხები, გაიყინები. თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალობაა საჭირო. მართალია, მრავალრიცხოვან ჯგუფთან არაა იოლი ამის მიღწევა, თუმცა პედაგოგის ჩანაფიქრი ეს უნდა იყოს. უნდა გემჩნეოდეს, გიყვარს შენი საქმე, გაკვეთილს მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობისთვის არ ატარებდე, მეტიც, იმ მომენტში ფინანსური კალკულაცია არც უნდა გაივლო გონებაში.

კატეგორიულობა, რომელიც ტერორამდე მიყვანილ შიშს ნიშნავს, უცხოა ჩემთვის. აბსოლუტურად ბუნებრივი მგონია, არ მომმართონ “მასწავლებელოთი”. ურთიერთობისას საფუძველმდებარე პლანი ეს კი არა, გონებათა კავშირია. მხოლოდ ამ მაქსიმის მორჩილებით მიიღება სასურველი შედეგი.

ემპირიული ცოდნა მოითხოვს გაუთავებელ ინტერპრეტაციას. პარალელიზმის გზით კონკრეტულ ისტორიულ ფაქტზე ჭვრეტა ვრცელ სარბიელს მოგვცემს. პედაგოგობის არსობრივი იდეა ხომ სწავლის ხალისის მინიჭება, შენარჩუნება და გახანგრძლივებაა.

_ აბიტურიენტები თქვენი შეხიდებით სამოქალაქო განათლების გამოცდისთვისაც ემზადებიან. ამ საგნის არსი ბევრისთვის ამჟამადაც გაუგებარია, ნაწილი აპროტესტებს მას, ნაწილი აუცილებლობასთან აიგივებს...

_ განა, არ არის აუცილებელი? ზუსტად მოქალაქეობრივი კულტურის დეფიციტია დღეს... სასწავლო პროგრამამ “მე და საზოგადოება” ელვისებური სისწრაფით აალაპარაკა, ააფორიაქა თითქოს ერის მაჯისცემას მიყურადებული ქართველები. ჩემდა გასაკვირად, წარმოუდგენელი სურათი დაიხატა მასის უმეცრებისა. როგორ შეიძლება კურსი, რომლის მიზანია ინფანტილიზმი აგვარიდოს, განვიხილოთ ბოროტების იარაღად. “მე და საზოგადოება” ითვალისწინებს (სულ მცირე) სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების სწავლებასაც. გამიგონია, ვის არა აქვს ელემენტარული უნარი, იცოდეს, რომ საჭიროა სისუფთავეო. მაპატიეთ, მაგრამ გარშემომყოფთა მოუწესრიგებლობის გამო მოწუწუნე ადამიანები არ გვინახავს?! ჩვენ, ხსენებულით შეწუხებულებს, არასდროს გამოგვითქვამს იგივე საყვედური? ნაკლის აღიარება არაა სირცხვილი, გააზრებულ ხინჯთან და ზადთან შეგუება კი, რასაკვირველია, მიუღებელია.

_ კახა გალდავას პიროვნული ფასეულობა-ღირებულებები მუდამ ასეთი იყო თუ ნელ-ნელა ჩამოიქნა ცხოვრებისეული ნარატივით?

_ პირველ ყოვლისა, ვიტყვი, ღანირის სკოლაში, რომელიც მე დავამთავრე, თინა ნუცუბიძისაგან, ინდიანა გოგუასაგან, ცისანა მებუკისაგან... ყველა პედაგოგისაგან ამა თუ იმ საგანთან ერთად მისწავლია ადამიანობა, საღად ფიქრი, განსჯა, პირდაპირობა, მიმტევებლობა, საქმისადმი თავდადება, დახმარების ხელის გაწვდენა... ისტორიკოს ლუიზა ჩომახიძის თანადგომას რა დამავიწყებს?! როცა სკოლას ვამთავრებდი, მამა მძიმედ იყო ავად. არ მქონდა იმის საშუალება, სამ-ოთხ რეპეტიტორთან მემეცადინა. სწორედ მაშინ მან უსასყიდლოდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, თავისი სურვილითა და დიდი მონდომებით იმდენი გააკეთა, დღემდე ვალმოუხდელად ვგრძნობ თავს მის წინაშე.

რა თქმა უნდა, გამოცდილებით ფორმირებაც ბევრს ნიშნავს. აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ დღემდე შვიდ სკოლაში მიმუშავია _ თითოეული ძვირფასი, მნიშვნელოვანი გამოცდილების მომცემი და სასიამოვნოდ გასახსენებელია.

უკვე რამდენიმე თაობისთვის გამიდევნებია თვალი. თამამად შემიძლია ვთქვა, შევეწინააღმდეგო მორალურ ხმას, ყოველი ახალი ნაკადი წინაზე უმჯობესია! ჩემი ყოველდღიურობა, მეუღლე, ახლო მომავალში ორი ვაჟის დედა ანა ახობაძე და ძმის მომლოდინე პატარა გაბრიელი რომ მილამაზებენ, ახალგაზრდებთანაა დაკავშირებული _ ვცდილობ, მათი მოპასუხეობა არ გამირთულდეს, მაქსიმუმის გაღებას ვისახავ მიზნად და, ლათინური გამოთქმისა არ იყოს, “სწავლებისას ვსწავლობ”!

შოთა კაკავა

მდივან-რეფერენტობიდან ყვავილების ბიზნესამდე

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის ბაზრის მიმდებარედ ყვავილების მაღაზიები ბლომადაა. ყვავილების ბიზნესი ჩვენს მუნიციპალიტეტში, მართალია, გასაყიდად გამოფენილი ხასხასა ვარდებივით ვერ ყვავის, მაგრამ გამოცოცხლება აშკარად სახეზეა. ყვავილებისთვის გამოსადეგ მიწებს შორის, როგორც გამოცდილებამ აჩვენა, სოფელ ეწრის ნიადაგი ლიდერობს, ჩვენმა რესპონდენტმა საჯავახოს მიწაც მოცადა და ნამდვილად გაუმართლა. “ტასოს საყვავილე” ჭავჭავაძის ქუჩის კუთხეში მდებარეობს. მისმა მფლობელმა, თეა ძნელაძემ სახელი ამ მაღაზიას შვილის, ანასტასიას სიყვარულით შეურჩია.

ახალგაზრდა მდივან-რეფერენტის ბიზნესვუმენობამდე გავლილი გზა ერთობ საინტერესოა. თეას არც სპეციალური განათლება მიუღია. როგორც იტყვიან, თავისი ბიზნესი მან ნულიდან დაიწყო და წარმატებას ისე მიაღწია, ბანკი არ დასჭირვებია. ქალაქში, კორპუსში მცხოვრებმა გოგონამ ბედი სოფელ საჯავახოს მკვიდრს, მიხეილ ხაბეიშვილს დაუკავშირა. თეა იხსენებს, ანასტასია რომ მოევლინა ქვეყანას, ოჯახში ერთადერთი ძირი ვარდი ყვაოდაო. სწორედ ამ ვარდმა მისცა ბიძგი მის ბიზნესწამოწყებას. როგორც ხდება ხოლმე, ახალშობილს გარკვეული თანხა აჩუქეს ახლობელ-მეზობლებმა. თეამ ამ თანხით სასომხეთიდან ვარდის ნერგები ჩამოიტანა და პირველი სათბურიც გაჩნდა მათ ეზოში. წლების მატებამ შრომისმოყვარე ქალბატონს და მის მეუღლეს იდეებიც გაუმრავალფეროვნა და სათბურში ყვავილებიც მოძალდა. დღესდღეობით საჯავახოს მიწაზე მოსული ვარდებით არა მარტო სამტრედია, არამედ მეზობელი მუნიციპალიტეტებიც მარაგდება. “სამტრედიის მაცნესთან” საუბარში თეამ აღნიშნა: “დამხვდა არაჩვეულებრივი, შრომისმოყვარე ოჯახი, ჩემი წვლილი მეც შევიტანე მის სიძლიერეში, პირველი 600 ლარით 1000 ძირი ვარდი სასომხეთიდან ჩამოვიტანე, ამ საქმეში ჩემი მეზობელი დამეხმარა, 5 წლიანი შრომის შედეგი უკვე სახეზეა _ ვარდის პლანტაცია! 10 000 ლარამდე დაჯდა სათბური, თავისი წვეთოვანი მორწყვის სისტემით, ეზოში სულ 5000 ძირია, აქედან _ სათბურში 1300, დანარჩენი _ გარეთ. მაქვს ასევე გლადიოლუსები, გეორგინები, აზიური ლილიები, 15 მაისიდან ვიწყებთ კრეფას და გარეთ დარგულები ნოემბრის ბოლომდე იკრიფება, ხოლო სათბურის ყვავილები_ იანვრის ბოლომდე! დისტრიბუციას თავადვე ვაკეთებთ და ყვავილებს ვაწვდით ქუთაისს, ლანჩხუთს, ვანს. ვცდილობთ, არ დავისვენოთ, შრომას და ენერგიას არ ვაკლებთ ჩვენს საქმეს, ჯერჯერობით ვწვდებით, მოვედით სათბურამდე, მოვედით მაღაზიამდე, ვარ ინდმეწარმე, სამომავლო გეგმები კვლავ გაფართოებას უკავშირდება, შემოსულ თანხას, ხუმრობით რომ ვთქვა, კვლავ “მიწაში ვყრით,” გვსურს, კიდევ უფრო გავაფართოოთ ბიზნესი, ვნახოთ, რა იქნება ახლო მომავალში...”

თეას და მიხეილს ორი შვილი ჰყავთ _ გენადი მეორე კურსის სტუდენტია, ხოლო, ანასტასია 5 წლისაა და ვარდივით მშვენიერი და თვალხატულა გოგოა. თეა აპირებს, უახლოეს ხანში კიდევ ახალი ჯიშებით გაამდიდროს ყვავილების პლანტაცია, მას თავისუფალი დრო სულაც არ რჩება. დროის ფასი 36 წლის ქალბატონმა ძალიან კარგად იცის...

პროფკავშირების შეხვედრა-სემინარი პედაგოგებისათვის

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პედაგოგებისა და დირექტორებისათვის პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების შეხვედრა-სემინარი ვაიმართა. მთავარმა მომხსენებელმა, პროფკავშირების ვიცე-პრეზიდენტმა საფინანსო დარგში, ნათია კორძაძემ სკოლის სფეროში არსებულ პრობლემებსა და იმ სასიკეთო ცვლილებებზე ისაუბრა, რაც პროფკავშირებმა განათლების სფეროში განახორციელეს. მათ შორის არის დარგობრივი შეთანხმების გაფორმება განათლების სამინისტროსა და პროფკავშირებს შორის.

ნათია კორძაძის თქმით: ''ათწლეულებია ამ საკითხზე პროფკავშირები იბრძვის, მაგრამ ახლა მიაღწია შედეგს, მთავრობებს ეშინოდათ დარგობრივი შეთანხმების გაფორმება. ამ შეთანხმების საფუძველზე, 16 ივნისიდან საჯარო სკოლის ყველა მასწავლებელს საავადმყოფო ფურცელს სრული ხელფასიდან უნაზღაურებენ. მანამდე კი პედაგოგთა ბიულეტენი არ ანაზღაურდებოდა სრული ხელფასიდან. მადლიერებით უნდა ითქვას, რომ ჩვენი მიმართვის საფუძველზე, ვიცე-პრემიერის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ალექსანდრე ჯეჯელავას ინიციატივით, სათანადო ცვლილებები განხორციელდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებაში, საჯარო სკოლის მასწავლებლებისათვის დროებითი შრომისუუნარობის გამო, სრული ხელფასიდან დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესთან დაკავშირებით''. მისივე თქმით, ასევე, შეიქმნა კანონი სკოლამდელი აღზრდის შესახებ, ამ კანონის ინიცირება სწორედ ახლა მოხდა, და ძალზე სწორად. არ შეიძლება, სკოლამდელი დაწესებულებები დაცილებული იყოს საგანმანათლებლო სისტემას. შეხვედრის დასაწყისში პედაგოგებს დავალება მიეცათ, წერილობით მიეწოდებინათ იმ სასიკეთო საქმეთა ნუსხა, რაც პროფკავშირებმა მათთვის გააკეთეს, ასეთი ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელი აღმოჩნდა. მათ ასევე სთხოვეს, პრობლემებზე ესაუბრათ, რაც მათთვის პრიორიტეტულია და რომელთა მოსაგვარებლად პროფკავშირების დახმარება ესაჭიროებათ. ნათია კორძაძემ აუდიტორიას გააცნო მონაცემები, თუ როგორ იმატა საბაზო ხელფასის ზრდის დინამიკამ მათი ხელშეწყობით. განმარტა, რომ პროფკავშირების მთავარი საზრუნავია, საჯარო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასს გაუთანაბრდეს პედაგოგის ხელფასი. პედაგოგებისაგან ნათია კორძაძეს არაერთი მადლობის მოსმენა მოუწია, პროფკავშირების მიერ განხორციელებულ სასიკეთო საქმეთა გამო. ითქვა, რომ ტარდება უფასო ტრენინგები პედაგოგთათვის, რომლებიც სასერტიფიკატო გამოცდებისთვის ემზადებიან, პროფკავშირი იცავს მისი წევრებისა და დამსაქმებლების უფლებებს, ჰყავს აქტიური თავმჯდომარე, ფინანსური დახმარება გაეწიათ ჯანმრთელობის პრობლემების მოსაგვარებლად პედაგოგებს, ასევე, ფინანსურად დაეხმარნენ მრავალშვილიან დედებს. პირველი სკოლის სასწავლო ნაწილმა, ციური ხურცილავამ ნათია კორძაძის შექება დაიმსახურა, მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავასთან შეხვედრაზე პედაგოგების პრობლემების მოურიდებლად და არგუმენტირებულად დასმის გამო. ის შეხვედრა პროფკავშირების მიერ იყო ორგანიზებული, ციური ხურცილავამ პირდაპირობა ახლაც გამოავლინა და განაცხადა: ''კვლავ მოუგვარებელია საკითხები, რომლებიც მინისტრთან დავაყენე, ვინც შეფასების ჯგუფის წევრია, დამეთანხმება, რომ ღამე ვერ დაიძინებს, იმდენი საწერი გვაქვს, სახლში ან შინამოსამსახურე უნდა გყავდეს, ან მოხუცის მომვლელი, პედაგოგმა სკოლას რომ მიხედოს. ამას გარდა, ყველა სკოლაში გვჭირდება ფსიქოლოგი, მალე, ალბათ, პედაგოგებსაც დაგვჭირდება. ბოდიშს ვიხდი ისტორიკოსებთან, ნაპოლეონი ვატერლოოზე რომ გადადიოდა, ბრძანება გასცა: ვირები და მეცნიერები შუაშიო, იმდენად უფრთხილდებოდა განათლებულებს, დღეს ტვინის გადინებაც ხდება უცხოეთში და ძალისაც...''

დააყენეთ სკოლაში ქაღალდომანიის შემცირების საკითხი! _ ამ თხოვნით პროფკავშირების წარმომადგენელს მე-11 საჯარო სკოლის დაწყებითების პედაგოგმა, ირინა ჯანელიძემ მიმართა, მან მრავალგზის გადაუხადა მადლობა სპმთპ სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ზოია ჯანაშიას, პედაგოგთა პრობლემების გადაწყვეტისა და მათი ინტერესების სადარაჯოზე დგომის გამო, ასევე, იმიტომ, რომ მაღალპროფესიონალი ტრენერები ჩამოუყვანა პედაგოგებს. ქალბატონმა ზოიამ ძალიან კარგი მუშაობის გამო ნათია კორძაძისაგან არაერთი მადლობა დაიმსახურა. ქალბატონმა ირინამ ასევე ისურვა, წელიწადში ერთხელ მასწავლებელთა საგზურების დაფინანსება მოხდესო. დაისვა საკითხი, სერტიფიცირებულ დირექტორებს მიეცეთ დანამატები, მცირეკონტინგენტიანი სკოლის დირექტორებმა განაცხადეს, მათი ხელფასიც საჭიროებს დაბალანსებას, რადგან მათი საქმიანობა დიდკონტინგენტიანი სკოლების დირექტორთა საქმიანობისგან არ განსხვავდება. ნათია კორძაძე პედაგოგებს ჩამოთვლილ საკითხებზე ზრუნვას და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას დაპპირდა. მან ასევე აღნიშნა, რომ განათლება ერთადერთი სფეროა, სადაც ადამიანებს საპენსიო ნიშნით ვერ შეეხნენ და ორგანიზაციის დამსახურებაა ისიც, რომ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულნი ხელფასთან ერთად იღებენ პენსიასაც. შეხვედრას სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების მეთოდისტებიც დაესწრნენ. ნათია კორძაძემ ასევე ისაუბრა, სკოლებში დარაჯის, მეეზოვის შტატების და ბუღალტრებისთვის სამუშაო პირობების შექმნის აუცილებლობაზე, ასევე, ბიბლიოთეკებისა და ლაბორატორიების არსებობაზე. ასევე ახსენა ე. წ. ყვითელი პროფკავშირები, მისი თქმით, ეს პარალელური სტრუქტურები ''ნაციონალურმა მოძრაობამ'' მათ ორგანიზაციასთან საბრძოლველ იარაღად შექმნა. პედაგოგებისათვის საინტერესო კიდევ არაერთ საკითხზე გამახვილდა ყურადღება.

თავისუფალი პროფკავშირები არის განათლების ინტერნაციონალისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი ორგანიზაცია და მოიცავს 40 000-ზე მეტ წევრს.

საზაფხულო ბანაკები მოსწავლეებისათვის

ნათია ნაცვლიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამა ''დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად 2017'' ჩვენს მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება. პროექტში სამტრედიის მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლები არიან ჩართულნი. დაბლა გომის, გომის, კულაშის, იანეთის, დიდი ჯიხაიშის გიორგი ნიკოლაძის სახელობის, მე-8 სკოლის, ნიგორზღვის, ჩხენიშის, ნაბაკევის სკოლების მოსწავლეებს ზაფხული საინტერესო და შინაარსიანი დასვენებით დაამახსოვრდებათ. საზაფხულო ბანაკები მოეწყო კაჭრეთში, კოჯორში, წყნეთსა და მანავში.

''სამტრედიის მაცნე'' ბანაკიდან დაბრუნებულ მოსწავლეთა ერთ ნაწილს შეხვდა და რამდენიმე მოსწავლეს შთაბეჭდილებების გაზიარება სთხოვა:

მარიამ ჯინჭარაძე, დაბლა გომის საჯარო სკოლა: ''ძალიან კარგად და შინაარსიანად დავისვენეთ, იყო სტადიონები, გავერთეთ, დავდგით პერფორმანსები, ვიცეკვეთ, ვიმღერეთ, საინტერესო თემებზე ტრენინგები ჩაგვიტარდა.''

თამარ ამაღლობელი, გომის საჯარო სკოლა: ''შემეცნებითი გაკვეთილები ჩაგვიტარეს, ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ, ძალიან კმაყოფილები დავბრუნდით, მინდა, მომავალ წელსაც წავიდე.''

ნიკა ამაღლობელი, გომის საჯარო სკოლა: ''ჩაგვიტარდა საინტერესო ლექციები სპორტის და ხელოვნების თემაზე, გამოვავლინეთ ჩვენი შესაძლებლობები, უამრავი საინტერესო რამ გავიგეთ, მადლობა ამ ბანაკის ორგანიზატორებს''.

საიუბილეოდ

ნუგზარ მიქაძე ჩვენი დროის გმირია

ქეთევან ჭელიძე

სასწავლებელს, რომლის დიდების მოწმე იმ დღის სტუმართა უმრავლესობა გახლდათ, სიყვარულისთვის გადაეშალა გული. დიდი ჯიხაიშის აგრობიზნესისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯი, სოფელი და სამტრედია უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის, ღირსების ორდენის კავალერის, სპორტის დამსახურებული მუშაკის, "მოქალაქეობრივი თავდადებისათვის" მედლის მფლობელისა და კოლორიტის, ნუგზარ მიქაძის 70 წლის იუბილეს აღნიშნავდა.

საქართველოს თითქმის ყოველი კუთხიდან მოიწვია მეგობრები ბატონმა ნუგზარმა, კოლეჯის ბიბლიოთეკის დარბაზი ვერ იტევდა მათ.



ღონისძიებას იუბილარის კოლეგა და მეგობარი კობა მანჯგალაძე უძღვებოდა. ჰყვებოდა პოლიკარპე მიქაძისა და თინათინ ქორიძის წარმატებულ ოჯახზე _ არა მარტო საქართველოში, მაშინდელ საბჭოთა კავშირში აღიარებულ დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორსა და მისი სტუმართმოყვარე, სათნო და კეთილშობილ მეუღლეზე, სამი დის _ ლამარას, მზიასა და ზეინაბის ერთადერთი ძმის, ნუგზარ მიქაძის ბავშვობაზე, როგორ იზრდებოდა იგი დიდი ნიკოს მამულში, ტექნიკუმის პედაგოგებისა და მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების თვალწინ როგორ შესძინა მას ამ ადამიანებთან ურთიერთობამ ბევრი დადებითი თვისება; როგორი წარმატებული იყო სწავლასა და სპორტში; 8 კლასის დამთავრების შემდეგ როგორ ჩაირიცხა ტექნიკუმში ქალაქისა და სოფლის მწვანე მშენებლობის სპეციალობაზე, შემდეგ კი _ მაშინდელი ლენინგრადის (სანქტ-პეტერბურგი) სატყეო აკადემიის სატყეო-საინჟინრო ფაკულტეტზე.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე პერსპექტიული ახალგაზრდა დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ლაბორანტად იწყებს მუშაობას. მამამ, პრინციპულმა და ყველასათვის მისაბაძმა პიროვნებამ თავისი შვილი გაკვეთილზე 2 წლის მანძილზე არ შეუშვა. ამისთვის მზად არ ხარ, ჯერ ყველაფერს დააკვირდი და შეისწავლეო. წარმატებული გამოდგა ნუგზარ მიქაძის პედაგოგიური მოღვაწეობა. მისი მოსწავლეების სადიპლომო ნამუშევრებმა რეალიზება არაერთგან ჰპოვა. ერთ-ერთი სამტრედიაში არსებული "მომავლის პარკია". მან სტაჟირება გაიარა გერმანიასა და ინგლისში.

კომპეტენტური, პრინციპული, მომთხოვნი, პუნქტუალური _ ასეთია ნუგზარ მიქაძე როგორც პედაგოგი. ამ სტუმართმოყვარე და მეგობრებით სავსე ადამიანის დასახასიათებლად მისივე ნათქვამი გაჟღერდა იმ დღეს: "ჩემთან ერთხელ მოსული კაცი თუ მეორედ აღარ მოვა, საქმე კარგად არ არის" და მისი სახლის კარიც, ტრადიციულად, ისე როგორც პოლიკარპე მიქაძის დროს იყო, ყველასთვის ღიაა.

სტუმართმოყვარეობისა და მათდამი თბილი და ყურადღებიანი დამოკიდებულების გამო მადლობა უთხრეს ბატონი ნუგზარის მეგობრებმა იუბილარის მეუღლეს, ავრორა ამაღლობელს. მათი შვილების _ თინათინისა და მანუჩარის კარგ ქართველობაზეც თქვეს.

ვიდრე ღონისძიების წამყვანი წარმატებებთან ერთად იმ სირთულეებზეც საუბრობდა, რომელიც სასწავლებელს ბოლო დროს შეექმნა, ეკრანზე კადრებად ნუგზარ მიქაძისა და მისი ოჯახის, მეგობრებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ამსახველი კადრები გადიოდა.

2010 წელს განათლების სამინისტროს მიერ ლიკვიდირებული სასწავლებლის დირექტორსა და მისი თანამშრომლებს ბევრი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდათ. სასწავლებელმა ახალი სიცოცხლე მაშინ დაიბრუნა, როცა იგი თბილისის საზელმწიფო ტექნიკურმა უნივერსიტეტმა თავის ბალანსზე აიყვანა.

სპორტი ნუგზარ მიქაძის ცხოვრებაში განსაკუთრებულია. კოლეჯთან არსებული ფრენბურთელთა გუნდი "ჯიკო", რომლის მწვრთნელიც თვითონაა, 10-გზის საქართველოს ჩემპიონია. მის მიერ აღზრდილი სპორტსმენები კი საქართველოს ნაკრების წევრები არიან. ყველაფერი 1976-77 წლებიდან დაიწყო და ამაში კობა მანჯგალაძემ ვალერი წულუკიძე "დაადანაშაულა", როცა მან, კულაშის ზოოვეტერინარული ტექნიკუმის თანამშრომელმა, დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი სპორტულ შეჯიბრებაში გამოიწვია. გოგონებისგან სახელდახელოდ შეკრებილი გუნდი სასტიკად დამარცხდა. მაშინ ბატონ ნუგზარს უთქვამს, მეორე შეხვედრას აუცილებლად მოვიგებთო. ასეც მოხდა. მერე წარმატებებმა იმრავლა, "ჯიკო" მრავალგზის საქართველოს ჩემპიონი გახდა. ბოსნია-ჰერცეგოვინასა და რუმინეთშიც იასპარეზა, სომხეთში გამართული საერთაშორისო ტურნირებიდანაც ყოველთვის გამარჯვებული დაბრუნდა.

"როდესაც პირველ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის ვემზადებოდით. ჩვენი "მაშველი რგოლი" გელა ლეჟავა გახლდათ. მან ფინანსური დახმარება გაგვიწია, მაგრამ გაგვაფრთხილა, ამის შესახებ არსად არაფერი გვეთქვა. ჩვენც ჩუმად ვიყავით, მაგრამ გადავწყვიტეთ, აღარ დავმალოთ, არ გვინდა, სიკეთე დავუკარგოთ ამ ადამიანს". _ აღნიშნა ბატონმა კობამ და დარბაზში მყოფ გელა ლეჟავას ახლა უკვე მადლობა ხმამაღლა გადაუხადა.

ბევრი თბილი სიტყვა უთხრეს იუბილარს იმ დღეს მეგობრებმა _ შეუქეს ადამიანობა, კაცთმოყვარეობა, ოჯახი, საქმე და წარმატებები უსურვეს გასავლელ გზაზე.

დიდი ჯიხაიშის მკვიდრს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კურსდამთავრებულს, ნოდარ ანდრიაძეს მოგონებები დაჰგროვებია პოლიკარპე მიქაძესა და მის ოჯახზე. ვრცლად ისაუბრა ბატონი პოლიკოს პიროვნულ თუ პროფესიულ მიღწევებზე და დასძინა, რომ ასეთ ოჯახში აღზრდილი ადამიანი სხვანაირი ვერ იქნებოდა.

ბატონი მერაბ სტურუასა და ნუგზარ მიქაძის მეგობრობა წინა საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. ჩემი უფროსი მეგობარი, მოყვასის მოყვარული კაციაო, აღნიშნა.

მოიგონა 5 კანდიდატიდან როგორ ერთხმად აირჩიეს იგი სასწავლებლის დირექტორად. გლახუნა ამაღლობლის ოჯახში პირველად რომ იმყოფებოდა ბატონი ნუგზარის დაბადების დღეზე ისიც გაიხსენა და ახლა, 70 წლის იუბილეზე აქ რომ არის, რომ ჰყავს კარგი ოჯახი და ბევრი თბილი მოგონება აკავშირებს დიდ ჯიხაიშთან და ამ ადამიანთან.

პოლიკარპე მიქაძის მიმართ პატივისცემის გამოხატვით დაიწყო თავისი გამოსვლა სამტრედიის მაჟორიტარმა დეპუტატმა გრიგოლ მიქელაძემაც. ასეთი მშობლების შვილი, ბუნებრივია, თვითონაც კარგი უნდა ყოფილიყო. "ბატონ ნუგზარს გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ვიცნობ. ვიცი, თუ როგორ გადაარჩინა სასწავლებელი, როცა იყო სამოქალაქო ომი, არეულობა. ამისთვის მადლობა მინდა ვუთხრა მას. ნუგზარი საზოგადო მოღვაწე კაცია. მრავალგზის საქართველოს ჩემპიონი გუნდის, "ჯიკოს" მწვრთნელი", რაც ძალიან დასაფასებელია. თავის მისალმებაში ბატონმა გიამ, დიდი ჯიხაიშზე, როგორც ერთ-ერთ იშვიათ სოფელზეც, ისაუბრა, სადაც სტატისტიკურად ყველაზე მეტი მეცნიერი და წარმატებული ადამიანი აღიზარდა. სურვილი აქვს, ყველა ის სიკეთე დაუბრუნოს ამ სოფელს, რაც ნიკო ნიკოლაძემ და პოლიკარპე მიქაძემ შესძინეს მას. კოლეჯის ბაზაზე მის მიერ რეგიონალური სასწავლებლის დაარსების მცდელობაზეც გაამახვილა ყურადღება. "თუ საქართველოს ყველა რაიონში, ყველა სოფელში იქნება ისეთი გულშემატკივარი თავისი რაიონის, სოფლის, როგორიც ნუგზარ მიქაძეა, მაშინ ჩვენი ქვეყანა აშენდება". _ თქვა მან.

დღევანდელი შეხვედრა ჩემს სიყმაწვილესთან შეხვედრაა. _ უთხრა დარბაზში შეკრებილებს დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კურსდამთავრებულმა, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა რამაზ კილაძემ. გაიხსენა პოლიკარპე მიქაძის ნათქვამი პროფესიის არჩევის დროს: ცუდი რომ იყოს, ამ ფაკულტეტზე ჩემს შვილს არ ვასწავლიდი, ეს მომავლის სპეციალობააო. "ეს იყო განაწესი, რომ მე მცოდნოდა მისი შვილი... დრო რომ გავა, ნუგზარ მიქაძეს უფრო მეტად დააფასებენ". _ თქვა და ბატონ ნუგზარს საჩუქრად "სიბრძნის ენციკლოპედია" გადასცა.

"ბატონი ნუგზარ მიქაძე ჩვენი დროის გმირია, ამას ვამბობ გადაუჭარბებლად. ასეთი ადამიანების მაგალითზე უნდა აღვზარდოთ ჩვენი შვილები და აშკარად უკეთესი საქართველო გვექნება.

ჩვენი მეგობრობის ხიდი სპორტია, მან შეგვაყვარა ერთმანეთი და მინდა "სპორტის ენციკლოპედია", ეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობა გადავცე მას. აქ 525-ე გვერდზე არის დაბეჭდილი საქართველოს ნაკრების წევრთა ლამაზი ფოტო და მათი გურუს, მათი მწვრთნელის, ჩემი ნუგზარ მიქაძის". _ ზაზა ადეიშვილმა სიყვარულით სავსე სიტყვები არ დაიშურა მეგობრის მიმართ.

მისასალმებელი სიტყვებით გამ-

... თვისსა გარჯასა ჰმალავდეს!

“შუბლი იმას შევუმკოთ, ვისაც აქვს”
ს. ეჟი, ლეცი.

... დიდი მოვალეობაა, ალბათ, გაართმევს თავს...

ეს ფრაზა მაშინ მოვისმინე დიდი ჯიხაიშის ყაზბეგის სახელობის სკოლის სამასწავლებლოში, როცა ამ სკოლაში ვმუშაობდი და ამბავი მოიტანეს _ ნუგზარ მიქაძე ტექნიკუმის დირექტორად დანიშნესო.

მალე გახდა ცხადი, რომ არ შემცდარან გადაწყვეტილების მიღებისას შესაბამისი ორგანოები.

დიახაც, დიდი პატივი იყო სათავეში ჩადგომოდი სასწავლებელს, იქ დამკვიდრებული ტრადიციებით, არა მარტო საქართველოში, ყოფილ საბჭოეთშიც რომ გაითქვა სახელი.

ლეგენდარული პოლიო მიქაძის ვაჟიშვილმა ღირსეულად განაგრძო წინამორბედების მიერ გაკაფულ გზაზე სიარული და ახალი ტრადიციები დაამკვიდრა სასწავლებელში. ერთი სიტყვით, თუ სასწავლებელი მომდევნო წლებში ფეხს უწყობდა და უწყობს მალიმალ ცვალებად დროს, ლომის წილია ამაში მისი ხელმძღვანელისა.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული არა ერთი და ორი მძლავრი ქარხანა, ფაბრიკა გაცამტვერდა. მრავალი, ერთ დროს პრესტიჟული სასწავლებელი გაუქმდა. დიდ ჯიხაიშში ნიკოლაძის მამულში 1925 წელს დაარსებული სასწავლებელი კი, მრავალგზის ტიტულშეცვლილი, მაგრამ მაინც ეპოქასთან შეხამებული მოქმედებს და კვლავ კვალიფიციურ კადრებს უზრდის სამშობლოს.

საუბრის ცალკე თემაა ბატონი ნუგზარ მიქაძის ძალისხმევა, გარჯა ქალთა ფრენბურთის განვითარების საქმეში.

დიდი ხანია, არა მარტო ამ სასწავლებლისა და სოფლის, სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვისაც სავიზიტო ბარათად იქცა “ჯიკო”, დიდი ჯიხაიშის კოლეჯის ფრენბურთელ გოგონათა გუნდი.

შორსაა ბატონი ნუგზარისგან დილეტანტობა, რასაც ხელს მოჰკიდებს, რა საქმესაც შეეჭიდება, მაღალ პროფესიულ დონეზე უნდა გააკეთოს იგი, გამოსდის კიდეც, თანაც ბრწყინვალედ.

მტერ-მოყვრის ცნობა, მეგობრობა, სხვათა წარმატებით გახარება, დაცემულის აღდგინებაც, თანადგომაც მისეულად გულიანად იცის ნუგზარ მიქაძემ და პატივი, დიდება და საყოველთაო სიყვარულიც თავისით მიდის მასთან.

...იუბილარია ამ დღეებში ბატონი ნუგზარი.

70 წელი ჩამოიმარცვლა მისი ცხოვრების კრიალოსანზე, ღირსეულად, მოკრძალებით განვლილი 70 წელი.

გულწრფელად, პატივისცემით გილოცავ ჩემო უფროსო, ღირსეულო მეგობარო სახელოვან იუბილეს, იხარეთ იდღეგრძელეთ, გმეგზურობდეთ უფალი!

ლევან გაბეჩავა

ოვიდნენ აგრეთვე ბატონი ნუგზარის მეგობრები, კოლეგები, სენაკის სასოფლო-სამეურნეო კოლეჯის დირექტორი ხარაგელია და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი რომან მარგალიტაძე.

ღონისძიებას ანსამბლ “იმედის” წევრთა მიერ შესრულებული ლირიული სიმღერები გასდევდა.

მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით იუბილარს მუნიციპალიტეტის პირველი გამგებლის მოადგილე დავით ბახტაძე მიესალმა: “უდიდესი პატივისცემა მინდა გამოვხატო და მოგილოცოთ 70 წლის შესრულება. თქვენ ემსახურებით თქვენს საქმეს, თაობების აღზრდაში თქვენი ღვაწლი შეუფასებელია”. მან გამგეობის სახელით საჩუქარიც გადასცა მას და შემდგომი წარმატებები უსურვა. კეთილი სურვილები ნუგზარ მიქაძის მიმართ არც გამგებლის მოადგილემ, ლიზა კრავეიშვილმა დაიშურა.

ნონა ღვინჯილიასთვის კი მისი მწვრთნელი მნიშვნელოვანი ადამიანია, მას იგი 2002 წლიდან იცნობს, როცა ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, შემდეგ ფრენბურთელთა გუნდში აიყვანეს და საკმაოდ წარმატებული სპორტსმენი გახდა. დღემდე აქაა და ყოველი გამარჯვების თანაზიარი. წინსვლა და წარმატებები, ჯანმრთელობა და ღვთის წყალობა უსურვა მას.

წლებით ნაცადი მეგობრობა აკავშირებს ბატონ ნუგზართან მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, გიორგი ლეჟავას: “ნუგზარი პროფესიონალია, თავისი საქმის ერთგული, კარგი ოჯახის შვილი და თვითონაც დიდებული ოჯახის პატრონი. სხვათა ჭირისა და ლხინის გულთან მიმტანი და გამზიარებელი კაცია. დიდი ავტორიტეტით სარგებლობს არა მარტო სოფელში, არამედ საქართველოს მასშტაბითაც, რაც შეეხება სპორტისადმი დამოკიდებულებას, ეს მისი მეორე მხარეა. პროფესიონალი არ არის, მაგრამ თავისი წარმატებებით დაიმსახურა სპორტის დამსახურებული მუშაკი გამხდარიყო._ დაახასიათა მეგობარი გიორგი ლეჟავა.

ღონისძიების დასასრულს საუბილეო ტორტიც გაიჭრა და ნუგზარ მიქაძის სადღეგრძელოც შეისვა.

“უბედნიერესი ადამიანი ვარ!” _ განაცხადა “სამტრედიის მაცნესთან” მან. _ 70 წელი რომ შევასრულე, ახლა უფრო ვჭქარობ, რაც ვერ შევძელი, ერთბაშად კიდევ მეტი გავაკეთო.

აი, ეს დამოკიდებულება, რასაც აქ ვხედავ, ყველაზე დიდი ბედნიერებაა. მადლობის მეტი რა მეთქმის თქვენს მიმართ, ყველას მიმართ. ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები მაქვს კედელზე გაკრული: “არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!” მეც ასე ვცხოვრობ. დარბაზში მხოლოდ ოჯახის წევრები და ორი ნათესავი იმყოფებოდა, დანარჩენები მეგობრები იყვნენ... საცხოვრებლად მამაც რომ ჩამოვიდა აქ, საერთოდ არავინ ჰყავდა, შემდეგ გავაჩნდით ჩვენ, შვილები და მერე მეგობრები. როდესაც მამა და დედა გარდაიცვალნენ, 95 პროცენტი მეგობრები იყვნენ, ვინც ისინი გააცილა. ვისურვებდი, რომ ისეთი ლამაზი დაბადების დღე, როგორიც მე ჩემმა მეგობრებმა, კოლეგებმა და სოფელმა აღმინიშნა, ყველას დაებედოს”.

“სამტრედიის მაცნეც” პატივისცემითა და კეთილი სურვილებით ულოცავს ბატონ ნუგზარ მიქაძეს დაბადების დღეს და წარმატებებს უსურვებს თავისი საქმიანობის ყველა სფეროში!

გალერეა

რკინიგზელები რკინიგზელთა ქალაქიდან

ვინც სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს თუნდაც ერთხელ სწვევია და გაცნობია იქ წარმოდგენილ ექსპონატებს, უმალ თვალში მოხვდება კუთხე, სადაც რკინიგზასთან, რკინიგზის ტრანსპორტის ზრდა-განვითარებასთან დაკავშირებული მასალებია გამოფენილი.

ბევრი მათგანი ბატონი სულიკო პლატონის ძე თარგამაძის მიერაა მუზეუმისთვის გადაცემული.

იდეა, ღვაწლმოსილ რკინიგზელზე დაგვეწერა, მუზეუმის ხელმძღვანელს, ქალბატონ გულიკო ძნელაძე-ცინცაძეს ეკუთვნის.

ბატონი სულიკო 1943 წელს ნიგორზღვაში დაიბადა.

საშუალო სკოლის შემდეგ თბილისში რკინიგზის ტექნიკუმი დაამთავრა და მას შემდეგ მთელი ცხოვრება ქვეყნისათვის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებას მიუძღვნა.

წლების მანძილზე მუშაობდა ბატონი სულიკო სამტრედიის სალოკომოტივო დეპოში ჯერ მემანქანის თანაშემწედ, ხოლო მემანქანეთათვის სავალდებულო კურსების გავლის შემდეგ მემანქანედ.

საოცარი პასუხისმგებლობით, პროფესიონალიზმით ასრულებდა იგი მასზე დაკისრებულ ურთულეს მოვალეობას, ცნობილია, რომ განსაკუთრებული სიფხიზლე, სიზუსტე და გულმოდგინება სჭირდება ელმავლის მემანქანეს უავარიო მოძრაობისათვის და სულიკო თარგამაძეც ჩინებულად ართმევდა თავს ყოველივეს. მის სახელზე გაცემული ჯილდოები, სიგელები, ფასიანი საჩუქრები, მედლები ამაზე თვალნათლივ მეტყველებენ.

როგორც პირველი კლასის მემანქანე წლების მანძილზე გახლდათ დეპოს მორიგე, სადაც პასუხისმგებლობითა და ჩვეული რუდუნებით მოღვაწეობდა, ვიდრე 2015 წელს დამსახურებულ პენსიაზე გავიდოდა.

ბევრი აქვს მოსაგონარი ღვაწლმოსილ რკინიგზელს, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს რკინიგზის განვითარების საქმეში. მისი სახელი ღირსეულ ადგილს იკავებს სამტრედიელ რკინიგზელთა სახელოვან კოჰორტაში.

ოჯახურ გარემოში ატარებს ხანდაზმულობის წლებს ბატონი სულიკო, კაცი, რომელმაც უავარიოდ ნახევარი მილიონი კილომეტრი გაიარა და გზათა მმოსვლის სამინისტროს სახელით სპეციალური ჯილდოც მიიღო.

იუბილეს აღნიშნავს ამ დღეებში ჩვენი ქალაქი, 147 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც ვეება ორთქლმავლის გრიალმა და მისი საყვირის ხმამ ახარა ყველას ახალი ქალაქის _ სამტრედიის დაბადება.

ქალაქის იუბილეს გილოცავთ ბატონო სულიკო და მშვიდ ხანდაზმულობის წლებს გისურვებთ!

ლევან გაბეჩავა

სანიმუშო სკოლაში მხოლოდ ოქროს "სჯერდებიან"

თეა ბაბუნაშვილი

უკვე მეათედ, საიუბილეოდ, საქართველოს შემოქმედთა პროფესიული კავშირის ორგანიზებით, ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსი "იპოვე შენი ვარსკვლავი" ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში საზეიმო გალაკონცერტით დაიხურა. სამტრედიის დიმენტი შანიძის სახელობის სახელოვნებო სკოლის მონაწილეობის გარეშე, როგორ აქამდე, არც ამჯერად ჩაუვლია ფესტივალს.

არა მხოლოდ აქ, წარმატებებს, უფრო სწორად საპრიზო ადგილებს მიჩვეულები, ამჯერად მხოლოდ ოქროს "დასჯერდნენ" სამტრედიელები. მეტიც, იმდენი ოქრო წამოიღეს დედაქალაქიდან, რომ სამტრედიის №1 სახელოვნებო სკოლა ქვეყნის მასშტაბით სანიმუშო სკოლების ოთხეულის სრულუფლებიანი წევრი გახდა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით 2007 წელს დაფუძნებული ამ ფესტივალის ჟიურის საპატიო წევრები საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, კახა ცაბაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კონსერვატორიის პროფესორი, დირიჟორი ავთანდილ მამაცაშვილი, პიანისტი დოდო ცინცაძე და ფოლკლორისტი რევაზ ჭკადუა იყვნენ. საორგანიზაციო კომიტეტში კი პიანისტი და კომპოზიტორი ოთარ ტატიშვილი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ოპერის მომღერალი მზია დავითაშვილი, კომპოზიტორი ნანა დაუშვილი და მომღერალი ინგა ბერიძე გახლდნენ. "ბედნიერები ხართ, რადგან ეზიარებით ხელოვნების უმაღლეს მწვერვალს, კლასიკურ მუსიკას" _ ეს ფრაზა ჟიურის წევრთა მოწოდებიდანაა მონაწილეთა მისამართით, რომელიც ფესტივალისადმი მიძღვნილ მაღალპოლიგრაფიულად დაბეჭდილ ბროშურაში გამოქვეყნდა. შემოქმედთა კავშირის თავმჯდომარე, ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ვიცე-პრეზიდენტი, სვეტლანა ჩოჩუა, აღნიშნავდა, "ამაყად შემიძლია ვთქვა, რომ წლების მანძილზე ფესტივალმა არაერთი ნიჭიერი შემსრულებელი აღმოაჩინა. ორმაგად საამაყო და საიმედოა, რომ ისინი ბავშვები, მოსწავლეები არიან. 25 მათგანმა დაიმსახურა კონკურსის უმაღლესი ჯილდო, ვარსკვლავი! შემოქმედთა კავშირს არაერთი დაბრკოლების გადალახვა უწევს მის გასამართად. ის თავისი გადაწყვეტილებებით მართალია ყველა მონაწილის, პედაგოგის წინაშე და ეხმარება ნიჭიერ აღსაზრდელებს გზის გაკვლევაში."

სამტრედიის სახელოვნებო სკოლის მოსწავლეები თითქმის ყველა ინსტრუმენტის ფლობაში ოქროს მედალოსნები გახდნენ. ვოკალური განყოფილებიდან დემეტრე ნიკურაძემ და ნინო თავაძემ, საფორტეპიანო განყოფილებიდან გიორგი სტურუამ და ქეთევან ზარიაშვილმა, საორკესტრო განყოფილებიდან გიორგი სტურუამ, კლარნეტსა და ჩელოზე ნინი არველაძემ, დაჩი ნიკოლეიშვილმა ოქროს მედლები დაიმსახურეს, მევიოლინე ანასტასია სპირანტმა და ანა ლორთქიფანიძემ კი _ ბრინჯაოსი. ისინი რამაზ კუბლაშვილის, თამარ შურღაიას, ვარლამ შანიძის, მაყვალა სანიკიძის, ნათელა გაბრიაძის კლასის მოსწავლეები არიან. კონცერტმაისტერობას პედაგოგები: ნათია ჭეიშვილი, ელისო ბარათელი, თამარ შურღაია უწევდნენ.

გიორგი სტურუამ, გარდა ცალკეული მედლებისა, ფესტივალის ლაურეატის წოდება და დამატებით კიდევ ერთი ოქროს მედალი მიიღო რამდენიმე საკრავის წარმატებით ფლობისთვის.

დამსახურებულ ადგილს სანიმუშო სახელოვნებო სკოლებს შორის, სკოლის დირექტორის, ირმა შანიძის დაჯილდოვება მოჰყვა, რითაც იგი საუკეთესო დირექტორად აღიარეს. პედაგოგები ნათელა გაბრიაძე და რამაზ კუბლაშვილი საუკეთესო პედაგოგების დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

სახელოვანი წარსული გაგრძელებას ითხოვს და დღემდე გრძელდება კიდეც ერთ დროს ქალაქის №1 სამუსიკო, ამჯერად, სახელოვნებო სკოლაში, სკოლაში, სადაც წარმატებების ნიშნული ძირითადად ოქროა.

უმაღლესი სინჯის მედლებით დაჯილდოვებული კიდევ ერთი სასწავლო წელი მიითვალა სანიმუშოდ ქცეული სასწავლებლის ისტორიამ. იმაზე, სექტემბერში განახლებულ სასწავლო პროცესს წარმატებები რომ მოჰყვება, არც საუბრობენ. ახლა მთავარია, წარმატებები გაცილებით შთამბეჭდავი და სოლიდური იყოს, დღემდე რომ აქვთ.

ფიქრები მხატვარ გივი ვაშაკიძეზე
(მას სულ მალე 80 წელი შეუსრულდება)

გასული წლის მიწურულს შარდენზე, სამხატვრო გალერეაში გაიხსნა მხატვარ გივი ვაშაკიძის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

ხანდაზმულობის გამო სახლიდან იშვიათად გავდივარ, მაგრამ ამ დღეს სიხარულით გავეშურე მხატვრის და მისი შემოქმედების სანახავად.

გამოფენაზე მისულს სამწუხარო რეალობა დამხვდა. ერთ დროს ჯან-ღონითა და იდეებით აღსავსე მხატვარი ისე დაუუძლურებია ავადმყოფობას, უსახსრობას და უყურადღებობას, რომ მძიმე ანემიის ფონზე გაუარესებული ჯანმრთელობის გამო სასწრაფოდ გადაიყვანეს სისხლის გადასხმის ცენტრში და საკუთარ გამოფენას ვერ დაესწრო.

ცრემლი ვერ შევიკავე. მისი მრავალმხრივი საინტერესო ნახატები უცებ გაუფერულდა. თვალწინ დამიდგა ერთად გატარებული ბავშვობის წლები, გივი ფანქრით და ფუნჯით ხელში. როგორი სიყვარულით და სიბეჯითით ხატავდა ყველაფერს მის გარშემო! გამორჩეული ბავშვი იყო განსაკუთრებული აღქმის უნარით და მუდამ სილამაზის გადმოცემის სურვილით.

მთელი შემოქმედებითი გზა შრომაში გაატარა. გარშემომყოფებს უფერადებდა ცხოვრებას.

დღეს კი უჭირს ფიზიკურად, მორალურად, სისხლგამშრალსა და უსინათლოს.

ჩვენდა სამწუხაროდ, გივი ერთადერთი ხელოვანი არ გახლავთ საქართველოში მძიმე და უსახსრო სიბერე რომ ხვდა წილად. ვერ ჰპოვა დამსახურებული აღიარება და არ შეექმნა უზრუნველყოფილი სიბერე.

ვინმემ იქნებ მიიტანოს გულთან მათი სავალალო მდგომარეობა და გაულამაზოს სიცოცხლის დარჩენილი წლები.

ციცინო ლეჟავა

გილოცავ, ჩემო ქალაქო!

ლევან გაბეჩავა

მერედა რა, რომ მეზობელ ქუთაისთან, ვანთან, ხონთან შედარებით "ძუძუთა ბავშვი" ხარ.

გვეამაყება შენი, დიახაც, საამაყო წარსული, აწმყო. უკეთესი ხვალის იმედი არა და არ გვტოვებს.

მრავალს უძღვნია მრავალჯერ შენთვის ლექსი, ხოტბა შეუსხამს, მოგფერებია, ალერსით უვლია შენს ფართო ქუჩებში, ჭადრების ჩრდილში სულმობრუნებულს წარსულზეც გადაუვლია გონების თვალი და მომავალიც ბრძნულად განუჭვრეტია.

მოსეირის როლში არასოდეს ყოფილხარ, ჩემო ქალაქო!

მეორე მსოფლიო ომში ასობით სამტრედიელი ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში, ბევრი ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას, ბევრი მკერდდამშვენებული ჩამოვიდა.

ამაყნი და ბედნიერები ვართ, ჩვენი ერისა და ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან მომენტში საკუთარ სიტყვას რომ ამბობდი, შენეულად,

რიხიანად,

ეჭვშეუვლად,

მჭექარედ.

როგორც დედაქალაქს ქალაქები და რაიონები ისე შემოგჯარვია ირგვლივ დაბა-სოფლები, საერთო სახელი _ სამტრედიელობა რომ აერთიანებთ ყველას იქ მცხოვრებთ.

გვეამაყება დედაუნივერსიტეტის დამაარსებელთა შორის ორი სამტრედიელი რომაა, ქართული ენათმეცნიერების პატრიარქი აკაკი შანიძე და ქართული მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი მესაძირკვლე ანდრია რაზმაძე.

ღვთის მადლად და წყალობად აღვიქვამთ შენი მკვიდრნი წმინდა ფილიმონ მგალობლისა და აღმსარებლის (ქორიძე) და წმინდა მიტროპოლიტ ნაზარის (ლეჟავა) სამტრედიელობას.

დღითიდღე ვრწმუნდებით და უფრო და უფრო ვივსებით სიამაყით დიდი ერისკაცისა და საზოგადო მოღვაწის, "კაცი სახელმწიფოდ" წოდებულის, მოაზროვნის ნიკო ნიკოლაძისა და მისი ოჯახის სამტრედიელობითა და სამტრედიასთან მჭიდრო კავშირით.

ბენედიქტე და ვახტანგ ბალავაძეების, ეროსი მანჯგალაძის, ჯემალ ღაღანიძის, იმედა კახიანის, კარლო, ამირან კალაძეების, ანდრო თევზაძის, ტრიფონ რუხაძის, აკაკი დევიძის, გიორგი კაჭახიძის, იუსტინე ჯანელიძის, ნიკოლოზ კანდელაკის... სამტრედიელობა განა სიამაყის საბაბს არ გვაძლევს?!

შენზე, სამტრედიაზე შექმნილი სიმღერებიც ჟრუანტელს ჰგვრის ბევრს და საკუთარი გერბითაც კანონიერად იწონებ თავს.

...

დავდივარ შენს ქუჩებში და მეამაყება ჩემი სამტრედიელობა, მეამაყები შენ, ჩემო ქალაქო (არ მიწყენ უთუოდ შენობით რომ მოგმართავ, უფალსაც ხომ შენობით ესაუბრებიან).

ხსოვნა მათი და არდავიწყება ვისაც შენი ძლიერებისათვის აგურზე აგური დაუდვია.

დღეგრძელობა მათი, აზრით თუ ღვაწლით ვინც გულწრფელად ირჯება შენი სიკეთისათვის, სამტრედიელთა კეთილდღეობისათვის.

კვლავ ლაღად ეფრინოს შენს უღრუბლო ცაზე მოღუღუნე მტრედებს.

147-ე დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო მშობლიურო ქალაქო!

მრავალს უძღვნია შენთვის ლექსი და სიმღერა, მაგრამ სხვა ეშხია ლექსში ქართველ პოეტთა მეფემ, გალაკტიონმა რომ გიძღვნა, ამ ლექსით დავამთავრებ შენდამი ჩემს გულწრფელ მოლოცვას.

"შენთვის არავის უძღვნია ლექსი,
რომ ვერ გამჩნევენ, ალბათ, ბედია,
შენ ხომ სახელად ატარე დაბა,
თან მხოლოდ დაბა და სამტრედია.
წინათ ბორბლები დილიჟანსების
გაიძახოდნენ ტობა-საჩინოს,
ეხლა კი მინდა, უზარმაზარი
შენში ქალაქი აღმოვაჩინო.
ინდუსტრიული დროის შენება,
ინდუსტრიული დროის რეფლექსი,
პოეტებისთვის ჩემგან პირველად
აღმოჩენილი ქალაქი ლექსი.

როცა "აკადემიური" მხოლოდ ტერმინი არ არის

თეა ბაბუნაშვილი

შავი და თეთრი კლავიშები მელოდიის კორიანტელს აყენებდნენ. დიდი არ იყო დარბაზი, არც ბროლის ჭაღების შუქით გაბრწყინებული და მდიდრულ ელვარებად დაღვრილი. თუმცა ხელოვნებას ელიტარული ბრწყინვალეება სულაც არ დასჭირვებია, მთელი თავისი მშვენიერებით წარმოდგენილიყო. სამტრედიის მეორე სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა სასწავლო წლის შემაჯამებელი ღია აკადემიური კონცერტი გამართეს, კონცერტი, რომლის სახელწოდებაში სიტყვა "აკადემიური" მხოლოდ დასახელებად ან მუსიკალურ ტერმინად არ გახლდათ გამოყენებული. მის აკადემიურობას მუსიკალური გემოვნება, საშემსრულებლო ტექნიკა და პროფესიონალიზმი განსაზღვრავდა.

შემსრულებლები ამავე სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები გახლდნენ, სხვადასხვა კლასის მოსწავლეები, ასაკით გათვალისწინებულზე გაცილებით რთულ ნაწარმოებებს რომ ასრულებდნენ. ოვაციები დამსახურებული იყო არა მხოლოდ დილეტანტი, პროფესიონალი მსმენელისგან.

არ ჟღერდა როიალი, ბეთჰოვენი, შუმანი, ჩაიკოვსკი, ნიკოლაევი, ალექსეევი _ საკმაოდ რთული საფორტეპიანო ნაწარმოებებით პიანინოზე შესრულებით გახლდათ წარმოდგენილი. ქართველი კომპოზიტორების: ყანჩელის, აზარაშვილის, მერაბიშვილის, ფარცხალაძის, ცინცაძის, ტურიაშვილის, ზაბუკიძის მელოდიებმა განსაკუთრებული ხიბლი შემატა იმ ხიბლით სავსე სანახაობას. უოლერის "ბლუზმა" და ლაკალეს "ამაპოლამ" პატარა დარბაზში ჩატარებული დიდი კონცერტის კულმინაციური კვანძი გახსნა.

ლელა ბოხუა, ლელა ჯოგლიძე, ლელა გოლიაძე, ნათია ტალაბაძე, ცირა კეკაჩეიშვილი ფორტეპიანოს კლასის ის პედაგოგები არიან, ვისი მოსწავლეებიც ამ ლამაზი საღამოს შემოქმედნი შეიქნენ. მათთან ერთად დემურ სულაბერიძის აღსაზრდელმა, საყვირზე ნუნუ გაბუნიას "ლეგენდა თბილისზე" და ჰერმანის "ჰელო დოლი" რომ შეასრულა, გაამრავალფეროვნა საღამო. მარინა ახობაძის მოსწავლეებმა, კარგად დამუშავებული ვოკალით გუნდურად თუ სოლო შესრულებით ნამღერი საესტრადო და ხალხური სიმღერებით აღაფრთოვანეს მსმენელი. გარდა სპეციალისტებისა, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამუსიკო სკოლებიდან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ კონცერტს. გამგებლის პირველი მოადგილე დავით ბახტაძე, გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილი და კულტურის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსა და საკრებულოს წარმომადგენლები, ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მუნიციპალიტეტებში სახელოვნებო სკოლებისა და მსგავსი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება აუცილებელიცაა, თუნდაც იმიტომ, ქვეყანამ ასეთი ნიჭიერი მომავალი თაობა არ დაჰკარგოს. და იმიტომაც, ჯეროვნად რომ დაფასდეს პედაგოგთა შრომა. ხაზი იმასაც გაესვა, რომ დაფინანსება, რაც მსგავს სასწავლებლებს აქვს, პედაგოგთა შრომის ჯეროვნად ანაზღაურებისთვის მხოლოდ მიზერია.

სასწავლებლის ხელმძღვანელმა ნანა ქანთარიამ პროფესიულად შენიშნა და მას სტუმარი კოლეგებიც დაეთანხმნენ, რომ ამგვარ პატარა დარბაზში გაცილებით რთულია დაკვრა, ვიდრე დიდ საკონცერტო დარბაზში, რადგან "აქ მსმენელი უფრო ახლოსაა შემსრულებელთან, დიდ დარბაზში კი მსმენელი უფრო "თავისთვისაა." მიუხედავად ამისა, დირექტორი გულისწყვეტას ვერ მალავდა სკოლის საკონცერტო დარბაზის გამო: "მათი პროფესიონალიზმისა და საქმისადმი ერთგულებისთვის იმსახურებს ეს პედკოლექტივი, ამ სკოლის აღსაზრდელები, რომ ისეთი საკონცერტო დარბაზი ჰქონდეს სამუსიკო სკოლას, თუნდაც ამ კონცერტს რომ შეეფერება. ჩვენთან წელიწადში რამდენჯერმე იმართება მსგავსი საღამოები. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია, რომ რეპერტუარი არც ერთ მათგანზე არ მეორდება. ეს კიდევ ერთი ნიშანია პედაგოგებისა და მოსწავლეების დიდი მონდომებისა. რადგან შესაფერისი არ გვაქვს, კონცერტებს ხელოვნების გალერეაში ვმართავდით, მანამდე _ პირველ სახელოვნებო სკოლაში. არა, დარბაზი ნამდვილად გვჭირდება. გარდა ამისა, არის მოთხოვნა სხვადასხვა ინსტრუმენტის შესწავლაზე. ამიტომ კარგი იქნება, თუ სკოლა, რაც შეიძლება, მალე გახდება სახელოვნებო. ეს საკითხი დღის წესრიგში უკვე დგას. მოსწავლეთა კონტინგენტი 15-20 ბავშვით ყოველწლიურად მატულობს, კონტინგენტის ზრდას მომავალ სასწავლო წელსაც ველოდებით."

ნანა ქანთარია ამ სამუსიკო სკოლის პირველი გამოშვებაა. ახლა მისი დირექტორია და პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა. სკოლის წარმატებებზე საუბრისას ხაზს უსვამს, რომ: "არაერთ კონკურსა თუ ფესტივალზე ვასახელეთ სამტრედია, მაგრამ ფასიან კონკურსებზე, მეტადრე იქ, სადაც მონაწილეობის მიღება ძვირი სიამოვნებაა, ვერ მივდივართ, არ აქვთ მშობლებს, მით უმეტეს სკოლას, ამის საშუალება. ყველა პრესტიჟული კონკურსი თუ ფესტივალი ფასიანია."

იმ პატარა დარბაზმა დიდი დარბაზების აღფრთოვანება და ოვაცია დაიტია. მეორე სამუსიკო სკოლაში ხელოვნების ზეიმი უბრალოდ, ბროლის ბრდღვიალა ჭაღებისა და გადამეტებული ფუფუნების გარეშე ჩატარდა საკუთარი საქმის სიყვარულის და პროფესიონალიზმის დამსახურებით. კარგია, უკეთესი იყოს ინტერიერიცა და ექსტერიერიც, კარგია კი არა, საჭიროა, თუმცა, იმით, რაც არის და ისე როგორც არის, კლავიშებზე "თავს იკლავდნენ სტვენით ჩიტები...", გარინდებით ისმენდა მონატრებულ მელოდიებს ხელოვნებით დატყვევებული დარბაზი და "სასოებით მიბნედილი მახსოვს გრაცია..."

კლასიკური მუსიკალური განათლება პროვინციალიზმის გარეშე

თეა ბაბუნაშვილი

საჯარო სკოლასთან ერთად სამუსიკო სკოლა ერთადერთი კულტურულია ცენტრია ისეთ სოფლებში, როგორიც, მაგალითად, ტოლებია სამტრედიის მუნიციპალიტეტში. ცხოვრებისეული არაერთი პრობლემის, საზრუნავის, საწუხარის თუ სასიხარულოს პარალელურად იმ შენობიდან, ტოლების სამუსიკო სკოლა რომ არის განთავსებული, დღენიადაგ ფორტეპიანოს ხმა ისმის.

ამეცადინებენ და მეცადინეობენ დიდი მონდომებით, იმდენად დიდი მონდომებით, რომ არავინ თქვას, მუსიკალური განათლება პროვინციულად მიუღიათო. შედეგიც მოჰყვება ამ თავგამოდებას, არაერთ კონკურსზე წარმატებებს აღწევენ ამ სკოლის მოსწავლეები, არაფრით ჩამოუვარდებიან დიდი ქალაქების სამუსიკო სკოლებში აღზრდილებს.

ინტერიერს მზრუნველი ხელი მართლაც აკლდა. ასევე ინსტრუმენტს, რომელზეც კლასიკოსთა ნაწარმოებები სრულდებოდა. თუმცა, ვერავინ იტყოდა, რომ ცუდად ასრულებდნენ ბავშვები პედაგოგების დიდი მონდომებით შესწავლილ მუსიკალურ ნაწარმოებებს. პედაგოგებთან ერთად შესრულებული მუსიკალური კომპოზიციები, სკოლის მოსწავლეთა გუნდის ნამღერი ხალხური სიმღერები და საგალობლები დარბაზის მოწონებას იმსახურებდა.

მთებში ჩაკარგულ ამ ლამაზ სოფელში, რომელიც სხვა სოფლების მსგავსად მიგრაციის დილემას ვერ დაემალა, სამუსიკო სკოლაში მოსწავლეთა კლება თანდათან შეინიშნება, მაგრამ, ისევე როგორც მის მეზობელ ნოდას, აკაკი შანიძეც ეყოფა ღირსებისთვის, ამ მოსწავლეებიდან თუნდაც ერთი საკმარისი იქნება, ტოლებს შორს გაუთქვას სახელი. სოფლის სამუსიკო სკოლის საიმედოდ, ამის პოტენციალი არსებობს. და არა ერთი და ორი, რამდენიმე მოსწავლე ცნობილი პიანისტის, ვალერიან შიუკაშვილის ყურადღების ცენტრში არაერთხელ მოექცა. ისინი გადიან და მომავალშიც გაივლიან მის მასტერკლასებს.

სკოლის დირექტორი, სამტრედიისთვის, და არა მხოლოდ სამტრედიისთვის, კარგად ნაცნობი გვარსახელით, ქართული ხალხური სიმღერის დიდი ტრფიალი გახლავთ. იური შანიძეს საკუთარი სიტყვა აქვს ნათქვამი საგუნდო სიმღერის განვითარების საქმეში. ამჯერად კი, სასწავლო წლის შემაჯამებელ საღამოზე, ადგილობრივი და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის, სკოლის აღსაზრდელთა მშობლებისა და კოლეგების წინაშე ყურადღებას იმაზე ამახვილებდა, რითაც ეს წერილი დავიწყეთ: "განსაკუთრებით სოფლებში, სამუსიკო და სასწავლო დაწესებულებები დიდ ყურადღებას იმსახურებენ, რადგან აქ არის განათლების კერა, ეს სულით ჯანმრთელი სოფელი გოგო-ბიჭები ღირსეულ ცვლად უნდა გაეზარდონ ქვეყანას."

მუნიციპალიტეტის გამგებელი, ამ კონცერტს რომ ესწრებოდა მის მოადგილეებთან ერთად, სკოლას საჭიროების შემთხვევაში დახმარებას დაჰპირდა. იმავდროულად დირექტორის მსგავსად მანაც ხაზი გაუსვა, რომ სოფელი ქვეყნის მომავლის სამჭედლოა, არა მხოლოდ მისი ეკონომიკური დანიშნულების, არამედ მომავალი თაობების სწორად აღზრდის გამოც.

ტოლების სამუსიკო სკოლაში კლასიკური მუსიკის საღამოს სოფლური მოკრძალება თან სდევდა, თუმცა ფორტეპიანო გამართულად შესრულებული მუსიკალური ნაწარმოებებით აქაურებს დიდი კლასიკოსების შემოქმედებას სკოლის აღსაზრდელების შესრულებით ასმენინებდა.

“იდეების ომს ვერ მოვიგებთ წიგნების გარეშე!”

ნათია ნაცვლიშვილი

გიგა ჩალიგავა თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია. მომავალ პოლიტიკის ანალიტიკოსს თუ პოლიტიკურ მიმომხილველს დატვირთული ზაფხული აქვს, ის მრავალ ფრონტზე იბრძვის. ჩვენი თანაქალაქელები კარგად იცნობენ სამტრედიის ინტელექტუალთა ნაკრები გუნდის, “ინტერსტელარის” წარმატებულ წევრს. სულ მალე გიგა ევროპარდში საქართველოს ინტელექტუალურ ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც დედაქალაქში გაიმართება. წარმატებულმა სტუდენტმა ჩვენთან სტუმრობისთვისაც მოიცალა და სიამოვნებით დაგვთანხმდა წიგნსა და წიგნიერებაზე სასაუბროდ.

_ გიგა, როგორ იცავ ბალანსს, კითხვას კომპიუტერში ამჯობინებ თუ ნაბეჭდ წიგნში?

_ ვიტყოდი, რომ ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, სად წავიკითხავ. კომპიუტერიდან მეტ ინფორმაციას ვიღებ, შესანიშნავ მასალას გვაძლევს ინგლისურ და რუსულ ენებზე ვიკიპედია, ასევე შემიძლია კომპიუტერში წიგნების ე. წ. პდფ ფაილების კითხვაც, მაგრამ თუ გვინდა, უფრო მრავლისმომცველი, სიღრმისეული ცოდნა შევიძინოთ, გამოცდილება რომ მივიღოთ, ვთვლი, წიგნით უფრო მეტი ინფორმაცია მოიპოვება, წიგნით მიღებული ცოდნა უფრო სიღრმისეულია, გამჯდარია გონებაში, მყარია, როგორც აისბერგი. (აისბერგის სამი მეოთხედი ნაწილი წყალშია, ერთი მეოთხედი ზემოთ) მხატვრულ ნაწარმოებს წიგნში უფრო აღიქვამ, იქ მითითებული სქოლიოები დიდ მასალას გაძლევს. შეიძლება, ინტერნეტით წაკითხული უფრო დაგავიწყდეს დროის განმავლობაში, წიგნში მიღებული ცოდნა უფრო გამჯდარია გონებაში.

_ ხშირია ინტერნეტში უხუსტობებიც, მწერლების თუ პოეტების გვარ-სახელების აღრევა...

_ ეს ინტერნეტის სენია, რაც მოდის უცოდინარობიდან და არაკომპეტენტურობიდან. ცუდია, რომ საზოგადოება შეცდომაში შეჰყავთ.

_ რომელი ჟანრის ლიტერატურა მოგწონთ უფრო?

_ სათავგადასავლო, ისტორიული ჟანრის, ასევე სამეცნიერო ფანტასტიკასაც ვკითხულობ, რამდენადაც დრო მექნება. მიყვარდა ჟიულ ვერნი, ბოლოს, რაც ამ სფეროში წავიკითხე, იყო დიმიტრი დუხოვსკის “მეტრო 2033”, სერია გრძელდება. ამ წიგნმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რაც შეეხება ისტორიულ რომანებს, გამოვყოფდი ორ ეპოპეას _ კონსტანტინე გამსახურდიას “დავით აღმაშენებელს” და ლევან გოთუას “გმირთა ვარამს”. უცხოურიდან გამოვყოფდი უოლტერ სკოტის “აივენჰოს”, ჰომეროსის “ილიადას” და “ოდისეას”.

_ ძალიან მალე გამოდიხარ წაკითხული წიგნის სამყაროდან თუ გაგყოლია წიგნისეული მძაფრი ემოცია რამდენიმე დღით?

_ ასეთი ბევრი შემთხვევა ყოფილა, ყველა ადამიანი ასეა, ყველა შედის წიგნის სამყაროში, მეც ვცდილობ, მივბაძო ამა თუ იმ გმირს და უკეთესად ვიცხოვრო, წიგნის მისიაც ესაა, მისი წაკითხვის მერე ხდები უფრო ჭკვიანი და გმირის ამბების თანამოზიარე... ბოლოს წავიკითხე დენიელ კეზის “ყვავილები ელჯერნონისთვის”, მისი გმირი ჩარლ გორდონი არის გონებაშეზღუდული, მაგრამ სამეცნიერო პროგრესის წყალობით, თავიდან მისი აიქიუ თუ იყო 60, შემდგომ ადის 180-ამდე. თავიდან წერდა ძალიან ცუდად, მერე დაიხვეწა და ავიდა მაღალ ნიშნულამდე, მაგრამ დიდხანს ვერ გრძელდება აღმასვლის პროცესი და ძველ ნიშნულს უბრუნდება. საინტერესო იყო წიგნის გმირთან ერთად გავლა იმ ინტელექტუალური გზის, იმის დანახვება უნდა ავტორს, რომ სამეცნიერო პროგრესი შეიძლება იყოს დამღუპველი იმ ადამიანისათვის, რომელზეც ატარებენ სამეცნიერო ცდებს, როგორც თაგვზე, ელჯერნონი არის თაგვი. ის კვდება, მთავარი გმირი არ კვდება, მაგრამ მისი სამეცნიერო პროგრესი შეწყდა. მას ავიწყდება ყველაფერი, რაც წაიკითხა. ეს ძალიან ემოციური ტექსტია, ამ ნაწარმოებმა დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე.

_ ორი წელია, დაემკვიდრე მუნიციპალიტეტის ინტელექტუალთა გუნდში, რეიტინგი ძალიან მალე აკრიბე, რომელ სფეროში ხარ უფრო ძლიერი, რომელია “საშენო შეკითხვები”?

_ უფრო ძლიერი მხარეა საზოგადოების ცოდნა, ისტორია და გეოგრაფია, ყოფილა შემთხვევა, ისტორიული შეკითხვა რომ მოსულა, გუნდის მზერა ჩემკენ მოპყრობილა... მეც დიდ სიამოვნებას მანიჭებს, თუნდაც, ერთ ქულას თუ შევმატებ გუნდის სიძლიერეს..

_ თავმდაბლობითაც გამოირჩევი და ეს ძალიან წაგადგება მომავალში...

რომელ ცნობილ ტიტულოვან მოაზროვნეს იცნობ კარგად?

_ ვიცნობ დავით ლომინაძეს, თორნიკე ჯანგველაძეს, გაგი გაბრიჭიძეს, ჩვენს თანაქალაქელს. ნელ-ნელა შევდივარ მათ წრეში და მოგვიანებით მეტად დავუახლოვდები მათ...

_ პოეზიასთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

_ სკოლის პერიოდში პოეზიისთვის მეტი დრო მქონდა, განსაკუთრებულია გალაკტიონ ტაბიძე, რომელიც მოვლენაა როგორც ქართულ, ისე მსოფლიო პოეზიაში, არის პოეზიის მეფე, განსაკუთრებულად მიყვარს მისი “მესაფლავე” და “მთაწმინდის მთვარე”.

_ სხვა თანამედროვე ავტორებზე რას გვეტყვი?

_ ტარიელ ჭანტურიას პოეზია მომწონს, იმიტომ, რომ ექსტრავაგანტულია, ამ პოეტმა ახალი სტილი შემოიტანა. რატი ამაღლობელის პოეზიას აქვს ბიბლიური პასაჟები და რელიგიურ თემატიკას ეხება. რატი ამაღლობელის “ზმნა” ძალიან მომწონს, ის დასაფასებელი თანამედროვე ავტორია.

_ გაქვს რომელიმე ცნობილი ავტორის ხელმოწერით წიგნი?

_ სკოლაში სწავლის პერიოდში გვესტუმრა ოტია იოსელიანი და მისი ავტოგრაფით მაქვს წიგნი. დათო ტურაშვილი რომ სტუმრობდა სამტრედიას ევროკავშირის ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, შეხვედრაზე დასმულ შეკითხვებს ვუპასუხე, მოვიგე პრიზები. მერე მისი ახლად გამოცემული წიგნი “ტყეების მეფე” მივაწოდე და ხელმოწერა ვთხოვე.

_ თანედროვე ქართველ მწერალთაგან რომელიმეს გამოარჩევ? უამრავი ავტორი გამოჩნდა, ბოლო ხანს ლიტერატურული პროცესის გამოცოცხლება იგრძნობა...

_ ბოლო ხანს წავიკითხე ლაშა ბუღაძის “ნავიგატორი”, რომელიც მოგვითხრობს საბჭოთა პერიოდზე, ნაწარმოები რადიო-პიესაა, მას გასდევს იდეად ის, რომ საბჭოთა კავშირი იყო უსიყვარულობის ეპოქა და მამაკაცს, რომელსაც არ ჰქონდა სხვა ქალთან გრძნობის გაზიარების საშუალება, მას უყვარდება თავისი ავტომობილის ნავიგატორი. დავინახე, რომ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მთავარი ნაკლია, ადამიანებს შორის სითბოს და სიყვარულის არარსებობა. ტურაშვილს საკმაოდ კარგი ტექსტები აქვს, “ტყეების მეფე” დავით აღმაშენებლის ეპოქას ასახავს, ფილმად იყო ჩაფიქრებული და ფილმისთვის კარგი სცენარი იქნებოდაო, თქვა ავტორმა. ეს იყო მცდელობა, აღედგინა აღმაშენებლის პერიოდი. კონსტანტინესავით ვერ მოახერხა, მაგრამ...

_ რომელიმე ნაწარმოები დაგვისახელე, რომლის ეკრანიზაციაც ნაწარმოებივით მოგწონს...

_ მარიო პიუზოს “ნათლია”, ძალიან ბევრი ამბობს, ამ ფილმმა “ნათლიმამამ” თაობები გარყვნაო, ბევრი ამბობს, ტექსტი ისეთივე ღირებულებისა არ არის, როგორც კოპოლას ეკრანიზაციაო, მე ამას ვერ დავეთანხმები. პირიქით მგონია...

_ არსებობს საყვარელი ფრაზა, გამონათქვამი, რომელსაც ხშირად იმეორებ?

_ ჩემი სფერო პოლიტიკაა და მის ირგვლივ ვტრიალებ. ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის, ფრანკლინ რუზველტის ფრაზა მახსენდება: “იდეების ომს ვერ მოვიგებთ წიგნების გარეშე, ისევე როგორც საზღვაო ბრძოლას ხომალდების გარეშე”, ასევე მიყვარს გურამ რჩეულიშვილის სიტყვები “ალავერდობიდან” :”ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში”

_ გაგიმეტებია ბოლო გროშები წიგნში?

_ დიახ, არაერთხელ, რთულია, როცა სტუდენტი ხარ, ყველა შენთვის სასურველი წიგნი შეიძინო, როგორც კი ფული გამომიჩნდება, ვსტუმრობ “ბიბლუსს” და უკანასკნელ თეთრებს ვხარჯავ.

_ რას ურჩევ მომავალ თაობას?

_ რა თქმა უნდა, წიგნი არის ცხოვრების გასაღები, სამოქალაქო საზოგადოებად რომ ჩამოვყალიბდეთ, აუცილებლად ბევრი უნდა ვიკითხოთ, მრავალგვარი ინფორმაცია უნდა მიიღონ წიგნებიდან და გაეცნონ სიახლეებს...

თუ მანქანა პატრონს თავად იცნობს...

არის იდეა, რაც ტერორიზმთან ბრძოლას, სატრანსპორტო საშუალებათა გატაცების პრევენციასა და საგზაო მოძრაობაზე კონტროლს გაგვიადვილებს

ფრანგი, რომელიც გასულ “საყანონმდებლო რესპუბლიკის” 14 იანვრის ნომერში გაღმოცემულია, ჩვენი თანამემამულის, გია გაზნიავეშვილის ჯილავ ეგთ მნიშვნელოვანი იოლასე მიგვითანგიტ. ჩვენ მნიდილ ლაკუმატეტ, რომ მის ჯილავ ბეკრი ჩანაფიკრი აქვს, რომელთა გაზნიგრცილოტა ყველანს ხასიკეთილ ლაღოვეტა. ამის შესახებ, ცოდა მიგვიანებით, თავის თანამემამულეებს იგი ჩვენი გასულის ფურცლებიდან თავად უამბობს. ამჯერად კი ღინამოტარე ხეთია ეგთანად ჯილავ ლაგაგრძელებთ მისი იოლების გლიბალურიტაში.

თანამედროვე მსოფლიოს როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ვექტორი _ მოსწონს ეს ვინმეს, თუ არა, გლობალიზაციაზე გადის. ამ ყოვლისმომცველ, ჭეშმარიტად პლანეტარული მასშტაბის პროცესს, მსოფლიო თანამეგობრობისათვის მრავალი საფრთხე ახლავს, რაც უამრავი ხალხის აღშფოთებასა და მძაფრ პროტესტს იწვევს. ამის თვალნათელი მაგალითია ახლახან გერმანიის ქალაქ ჰამბურგში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერთა შეხვედრის თანმხლები ანტიგლობალისტთა გამოსვლები, რომელთა შემდეგ მთელი უბნები საომარ მოქმედებათა თეატრს დაემსგავსა, დაშავდა ასობით ადამიანი.

ანტიგლობალისტთა შიშებს, რაც მათ აგრესიულ პროტესტს იწვევს, მრავალი მიზეზი აქვს, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესი 21-ე საუკუნემდე არნახული მასშტაბის საერთაშორისო ტერორიზმია, რომელთაგან ბრძოლას ჰამბურგში G20-ის ფორმატში მსოფლიოს ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსთა შეხვედრებისას წამყვანი ადგილი ეკავა.

დღესდღეობით ტერორისტული აქტებისაგან მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის არც ერთი ქალაქი არ არის ასპროცენტიანად დაცული, პოტენციური საფრთხე ემუქრება ნებისმიერი ეროვნების, სქესისა თუ ასაკის პირს ევროპის, აზიის, ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკის, აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის, სინაის ნახევარკუნძულისა და რომელიც გნებავთ სხვა კუთხეში. სრულიად უდანაშაულო ადამიანების მკვლელობების გარდა, ტერორისტული აქტების შედეგად ზიანდება და ნადგურდება ინფრასტრუქტურა, შენობა-ნაგებობა, მათ შორის ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები.

ბნელი მიზნების მისაღწევად ავისმქმნელები სხვადასხვა მეთოდებს მიმართავენ, რომელთა განსახორციელებლად ნაირ-ნაირ საშუალებებს იყენებენ. ამდენად, ძალადობრივ მოქმედებათა განსახორციელებლად გამოსაყენებელ ხერხთა სიმრავლისა და მათ განმხორციელებელ პირთა წინასწარი გამოცნობის უდიდესი სირთულის გამო, ტერორიზმთან მებრძოლ სახელმწიფოთა სპეცსამსახურების მუშაობა სადღეისოდ საკმაოდ არაეფექტიანია, რაც სოციალური და ეკონომიკური პრობლემებით ისედაც ძლიერად დამუხტულ საზოგადოებას კიდევ უფრო მეტად ძაბავს. ტერორიზმთან ბრძოლის სპეცსამსახურების მუშაობის არადამაკმაყოფილებლობა კი, თავის მხრივ, სხვადასხვა სახეობის კონტროლის ეფექტიან საშუალებათა ნაკლებობითაა განპირობებული. თავიანთ დანაშაულებრივ ქმედებებში, რომლებსაც ტერორისტები მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ იყენებენ, მათი მთავარი იარაღი სულ უფრო ხშირად სა-

საოცრება "ასპირინში"

შესაძლოა მოგეჩვენოთ, რომ ეს მეტისმეტად კარგად ჟღერს, მაგრამ უკვე გვაქვს წამალი _ საოცრება და ის "მოკრძალებული" ასპირინია. ახალ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, მხოლოდ 40% იღებს ასპირინს იმ ადამიანებიდან, ვისაც ის ნამდვილად სჭირდება. ამ კვლევაში მეცნიერებმა დასვეს კითხვა: რა შედეგი დადგებოდა, თუ ასპირინი უფრო ფართო დაინიშნებოდა? შედეგები გასაოცარი იყო:

51-დან 79 წლამდე ასაკის ადამიანებისთვის აშშ-ში, 20 წლის მანძილზე დადგებოდა ასეთი შედეგი: გულის დაავადების 1000-დან 10 შემთხვევის პრევენცია; სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა 4 თვით, რაც მოგვცემდა 900 000-ით მეტი ადამიანის სიცოცხლეს 2036 წლისთვის; დაზოგავდა 692 მილიარდ აშშ დოლარს.

აღსანიშნავია, რომ ვსაუბრობთ ასპირინის დაბალი დოზის _ 85 მგ-ის მიღებაზე. ბუნერბივად ჩნდება კითხვა: რა არის იმის მიზეზი, რომ მეტი ადამიანი არ იღებს ასპირინის ამ დოზას? ეს განპირობებულია შემდეგ ფაქტორთა ერთობლიობით: ინფორმაციის ნაკლებობა; ასპირინი არ იყო განსაკუთრებით რეკომენდებული მათი ექიმის მიერ; ასპირინის გვერდით მოვლენებზე მეტად ფიქრი, ვიდრე მის სარგებელზე; ცუდი გამოცდილება წინა მიღებისას, როგორიცაა ალერგიული რეაქციები; სიძულვილი ზოგადად მედიკამენტებისადმი.

www.vipmed.ge

მოღალატე ბედისწერა

შენ მოღალატე ბედისწერა ხარ
არცა მაქვს ფიქრი სხვა სიხარულზე,
ნეტავი, ერთხელ მაინც გენახა,
ჩვენ მივდიოდით დღესასწაულზე,
სადაც ხარობდა მხოლოდ გვირილა
და გვირილების ენთო კოცონი,
აჰ, ჩემო კარგო! _ გამოიტირა
შენმა ზმანებამ დღე მოსაწონი.
არცა მაქვს ფიქრი, ამ სიმღერისთვის
რაღაც, სამზეო ნოტი დავწერო,
მით სიხარულის გამოძალვისთვის
სიცოცხლე მწარედ დავანაწევროთ.

ლაკინ ჩირგაძე

***

.... თუ წარმატება ჰგხვდა, _ მოყვასი შენი აღფრთოვანდება!..

შენად ვინც ღვარძლობს, შეინიშნება, ბოღმას რომ ჰმალავს?!

... უცხონნი "დინჯობს" _ პირფერად ფუყვ, _ "ვვით აზროვანდება"...

ეგ არის სწორედ "დროს" რომ წაგართმევს, ძალღონეს ჰპარავს;...

... ხალხი ხომ მაინც ხალხი არის, _ საც გინდა იქნე?!

"ჯანდაბას!" _ "წკვარამს!" _ რომ "შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს; _

... დამაჰგრდდი "თვისს _ ჰსშინ,... _ იჩხერკედელე _ "ფიქრთ ჰსწეწე, ჩიჩქნე",

"ჰზზენა" თუ ჰგფარავს, თვით "ბედისწერაც" ვერ გადაგჰსძალავს.

ანზორ ზმანება

მაღალი წნევის სამკურნალო მედიკამენტები კიბოს ბლოკავს



ჰიპერტენზიის საწინააღმდეგო წამლის იდენტიფიცირება, როგორც ძუძუს და პანკრეასის კიბოს საწინააღმდეგო, შესაძლო თერაპიული საშუალებისა, დიდი სიურპრიზი იყო მეცნიერთათვის.

უკვე დამტკიცებული წამლის გამოკვლევით გუნდმა დოქტორანტურის კურსდამთავრებული მეცნიერის, გუილაუმ ჯეკვემეტის და აკადემიის პროფესორის იოჰანა ივასკას ხელმძღვანელობით აღმოაჩინა, რომ კალციუმის ბლოკატორებს შეუძლიათ წარმატებით შეაჩერონ კიბოს უჯრედის ინვაზია "ინ ვიტრო" პირობებში. კალციუმის არხის ბლოკატორები ამჟამად გამოიყენება ჰიპერტენზიის, ანუ სისხლის მაღალი წნევის სამკურნალოდ, თუმცა კიბოპს უჯრედების მეტასტაზების დასაბლოკად მათი შესაძლო გამოყენების შესახებ აქამდე არასოდეს დაწერილა.

კიბო კლავს, რადგან ის მთელ ორგანიზმში ვრცელდება და წარმოქმნის მეტასტაზებს. აქედან გამომდინარე, წამლების შექმნა, რომლებიც დაბლოკავენ კიბოს უჯრედების დისემინაციის, ანუ გავრცელების უნარს _ კიბოს საწინააღმდეგო თერაპიის გზაზე დიდი წინგადადგმული ნაბიჯია.

ახალი სამიზნის (კიბოს) დადგენა უკვე გამოყენებადი წამლისთვის კიბოს საწინააღმდეგო მკურნალობის ახლად აღმოცენებული მიმართულებაა.

www.vipmed.ge

"ლამაზად შვილების აღმზრდელი"

ლილი დეიდა ჩემს მეხსიერებაში ბავშვობაში შემოვიდა, როგორც საუკეთესო მეზობელი. ის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი და მრავალი თაობის აღმზრდელი იყო. მოგვიანებით ხშირად გვიხდებოდა მეზობლებს მისი შეწუხება, რადგან ყველას სურდა, თავისი ჯანმრთელობა მისი შვილის, ოქროსხელება ქირურგ მერაბ ჯანელიძისათვის მიენდო. დაუზარელად მოირბენდა ამა თუ იმ მეზობელთან ასაკოვანი ქალბატონი და გვეტყოდა, აბა ჩქარა, მერაბი შესვენებაზე მოვიდა, სასწრაფოდ უნდა გაიქცეს, მოდით და გაგსინჯავთო. მობილური ტელეფონების "ეპოქაში" კი, ლილი დეიდას შვილისთვის ცხელი სადილის მირთმევა გაუძნელდა, დედაქალაქიდან სამტრედიაში ჩამოსული შვილი დედას ჯარ არ ენახა, ისე გაჩნდებოდა მათ ჭიშკართან პაციენტთა მანქანების კოლონა. მერაბ ექიმის დედობა მისთვის სასიამოვნოდ საზიდი ტვირთიც იყო. თავად მას მაშინაც კი არ შეუქია ექიმი შვილი, როცა მადლიერი პაციენტებისგან შვილის ქებას ისმენდა. მახსენდება, ერთ-ერთ არჩევნებზე, როცა ის დეპუტატობის კანდიდატ შვილს საარჩევნო უბანზე მოჰყვა, შენობის გარეთ დიდხანს ჩუმად იდგა და ელოდა თავის რიგს. ნაკადის მომწესრიგებელმა ის გვიან შეიცნო, მოუბოდიშა და ხალხს სთხოვა, გაეტარებინათ. ასეთი თავმდაბალი დამამახსოვრდა იგი. "ლამაზად შვილების აღმზრდელი" დედა, ლილი დეიდა...

ნათია ნაცვლიშვილი

"სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ მერაბ ჯანელიძეს დედის,

ლილი ჯანელიძის

გარდაცვალების გამო.

_ მაინც რაში მდგომარეობს ანტიტერორისტულ ბრძოლაში ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ეფექტიანი კონტროლის დაწესების თქვენი იდეის არსი?

_ სასურველი ეფექტის მისაღწევად ყველა სახეობის სამოქალაქო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალებები (გარდა სამხედრო დანიშნულებისა) უნდა აღიჭურვოს საგანგებოდ შექმნილი მოდულით, რომელიც თავსებადი იქნება ყველა სახისა და მოდელის ავტომანქანასთან. აქვე ცალკე მინდა აღვნიშნო, რომ პროექტის მოწონებისა და განხორციელების შემთხვევაში ავტომანქანების მწარმოებელ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ამ მოდულით ავტომობილები ქარხანაშივე აღიჭურვება.

_ რა მიზანს მოემსახურება ეს სპეციალური მოდული?

მოდულის მთავარი მიზანია ავტომანქანის გაშვება (ანუ დაქოქვა) მხოლოდ შესაბამისი იდენტიფიცირების შემდეგ. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, მანქანა დაიქოქება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოდულზე დაიდება (უკონტაქტო), ან ჩაირთვება მისი პატრონის (ან ნდობით აღჭურვილი პირის) აიდი-ბარათი ან მართვის მოწმობა, რომელიც ასევე უნდა იყოს აღჭურვილი უკონტაქტო ან კონტაქტური ციფრული ინტერფეისით. მოდული დაკავშირებული იქნება შესაბამის ბაზასთან ბარათის მეშვეობით (თითქმის ისეთივე სისტემით, როგორიც ამჟამად გამოიყენება სალარო აპარატებში). იდენტიფიცირების შემდეგ მანქანა დაიქოქება და შესაძლებელი იქნება მისი ექსპლუატაცია. ნსაკუთრებით ეს შს ორგანოებსა და სახელმწიფო სპეცსამსახურებს ეხება, _ თქვა მან საუბრის დასაწყისში.

ტრანსპორტო საშუალებები ხდება. აქედან გამომდინარე, სპეცსამსახურების სპეციალისტთა ყურადღება მათი ყოველმხრივი კონტროლის ეფექტიანობის ამაღლებაზეა მიპყრობილი. დასახული მიზნის მიღწევა, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სპეცსამსახურებსა და სხვა კომპეტენტურ სახელმწიფო სტრუქტურებს, გაცილებით ეფექტიანად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა და ჩაფიქრებული ტერორისტული აქტების, თუნდაც, ნაწილის წარმატებული პრევენცია შეძლონ.

ბუნებრივია, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები საქართველოს სპეცსამსახურების ექსპერტთა ყურადღების საგანს წარმოადგენს. ამ მხრივ უაღრესად საგულისხმო იდეის ავტორი, პოლიციის თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი მახნიაშვილი გახლავთ, რომელსაც წლების მანძილზე შს სამინისტროს სხვადასხვა, მათ შორის, ოპერატიულ სამსახურში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. მისი ბავშვობიდან დღემდე მოყოლებული გატაცება რადიოტექნიკაა და, როგორც თავად ამბობს, ნებისმიერი სახეობის რადიოაპარატურასთან შეუძლია მუშაობა, მრავალი ტიპის კომპიუტერული ტექნოლოგია და პროგრამა, ასევე კომპიუტერული დაპროგრამების რამდენიმე ენა აქვს შესწავლილი.

_ ამჟამად პენსიაში ვარ, არსად არ ვმუშაობ, ამდენად ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ინოვაციების დანერგვა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში _ ისევ ჩემი მთავარი საფიქრალია. ამის მიზანი კი ამა თუ იმ საქმის შესრულების პროცესის გაადვილებაა, გათვალის ერთი გადავლებით, აღნიშნული პროცედურის ჩატარების შემდეგ არაფერი ხდება, მაგრამ ბაზაში აღინიშნება აიდი-ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები (კერძოდ, პირადი ნომერი და სხვა.) და შესაბამის რეესტრში სათანადო ჩანაწერი შეინახება: თუ რომელი სატრანსპორტო საშუალება როდის და რომელი ბარათით დაიქოქა, რაც საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტურ ორგანოებს ამ ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობას მისცემს.

გარდა ამისა, სატრანსპორტო საშუალება არ დაიქოქება, თუ მის ინტერფეისზე იმ პირის აიდი-ბარათი მოთავსდება, რომელსაც მართვის მოწმობა არ გააჩნია, ანდა რაღაც მიზეზით ჩამორთმეული აქვს. ასევე, თუ მას არ გააჩნია შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის კატეგორია, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ანტიტერორისტული თვალსაზრისით. ამით თავიდან იქნება აცილებული არაერთი სახის სამართალდარღვევა.

_ კი მაგრამ, ანტიტერორისტული თვალსაზრისით, ყოველივე ამას რა მნიშვნელობა ექნება?

_ სამწუხაროდ, ბოლო დროს განხორციელებული ტერორისტული აქტების (და არა მარტო მათი) სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ დანაშაულებათა დიდი ნაწილი გატაცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ხორციელდება, ამდენად, აღნიშნული ნოვაცია ავტომანქანებზე კონტროლს გაამკაცრებს.

ყველაფერ ამასთან, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ისიც, რომ სისტემა ეფექტიანად იმოქმედებს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის, ვთქვათ, დაშვებული სიჩქარის გადამეტების შემთხვევაში ვიდეოჯარიმების გამოწერის დროს: ჯარიმა გამოეწერება იმ აიდი-ბარათის მფლობელს, რომელმაც მანამდე მანქანა დაქოქა. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ მანქანაში აიდი-ბარათით იდენტიფიცირება უნდა მოხდეს ყოველი ხელახალი დაქოქვის შემთხვევაში. აიდი-ბარათების გარდა, მანქანის დაქოქვა შესაძლებელი იქნება ასევე მართვის მოწმობით, ამისათვის კი საჭირო გახდება მოქმედი მოწმობების ახლებით შეცვლა, რომლებიც ციფრული ინტერფეისებით იქნება აღჭურვილი.

_ ბატონო გიორგი, ტექნიკური აღჭურვილობის გარდა, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, კიდევ რა ზომების მიღება იქნება საჭირო მის სრულფასოვნად ასამოქმედებლად?

_ პროექტის მოწონებისა და დამტკიცების შემთხვევაში, პარლამენტმა უნდა შეიმუშაოს, განიხილოს და დაამტკიცოს მთელი რიგი შესაბამისი საკანონმდებლო აქტი, სათანადო ცვლილებები შეიტანოს მოქმედ საკანონმდებლო ნორმებში, ასევე საჭირო გახდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში რამდენიმე ახალი მუხლის ჩამატება, კიდევ ზოგიერთი ცვლილების განხორციელება. მომავალში კი ამ პროექტმა შესაძლოა, მოიცვას არა მხოლოდ საქართველო, არამედ, დიდი ეფექტიანობის გათვალისწინებით, ფართო საერთაშორისო ასპარეზზეც გავიდეს.

_ იდეა მართლაც რომ მასშტაბურია, ამიტომაც ბუნებრივად იბადება კითხვა _ რა შეიძლება იყოს, თქვენი აზრით, ის მთავარი წინააღმდეგობები, რომლებმაც, შესაძლოა, მის განხორციელებას ხელი შეუშალოს?

_ კარგად მესმის, რომ ამასთან დაკავშირებით საზოგადოებაში მრავალი კითხვა გაჩნდება, მათ შორის, უმეტესობა სკეპტიკური, რომელიც აღნიშნული მოდულის აგებულების სხვადასხვა წვრილმანთან (რომლებსაც მე საგანგებოდ არ ვაკონკრეტებ) და არა მის უმთავრეს დანიშნულებასთან იქნება დაკავშირებული. დღესდღეობით არსებული ციფრული ტექნოლოგიები შესაძლებლობას იძლევა დამზადდეს პრაქტიკულად ნებისმიერი სახის მოდული, როგორიც გნებავთ შესაძლებლობებითა და ძალიან დაბალი თვითღირებულებით, რაშიც სპეციალისტები დამეთანხმებიან.

დღესდღეობით მთავარი მიზანი კი სატრანსპორტო საშუალებათა ეფექტიანი კონტროლის განხორციელებაა და არა მოქალაქეთა გადაადგილებაზე მეთვალყურეობა, თუმცა კი, გარკვეულ შემთხვევაში, მისი გამოყენება როგორც პიროვნების უდანაშაულობის დამამტკიცებელ საბუთად _ ალობად, ისე მამხილებელ საბუთად იქნება შესაძლებელი. წინასწარვე კი იმის თქმაც შემიძლია, რომ მის ყველაზე დიდ მოწინააღმდეგეთა შორის ყველაზე აქტიური სწორედაც პოტენციური კანონდამრღვევები იქნებიან.

მოდულის ავტოსატრანსპორტო საშუალებებში განთავსება განხორციელდება შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოებში, მანქანების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმების დროს. მისი თვითნებურად დემონტაჟის დროს კი მოდული ბაზაში ავტომატურად გაგზავნის განგაშის შეტყობინებას, რაზეც შესაბამისი სამსახური მყისიერ რეაგირებას მოახდენს.

ლევან ტურაბელიძე

მადრიდის "რეალი" ლიდერობს

ამ დღეებში უეფამ ახალი საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა. სარეიტინგო სიას 151 799 ქულით ლიდერობს სამეფო კლუბი მადრიდის (ესპანეთი) "რეალის" ფეხბურთელთა გუნდი. რაც შეეხება ქართულ კლუბებს, ყველაზე კარგი შედეგი აქვს ქართული ფეხბურთის ფლაგმანს _ თბილისის "დინამოს", რომელიც 5250 ქულით 217-ე ადგილზე იმყოფება.

გამოვლინდა თბილისის "დინამოს" მეტოქე

11 ივლისს შვეიცარიის ქალაქ მიესში საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა გაიმართა. საქართველოს მოქმედ ჩემპიონს და ქართული კალათბურთის ფლაგმანს თბილისის "დინამოს" კენჭისყრის შედეგად მეტოქედ ესპანური "ხუვენტუდი" ერგო.

საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს თბილისის "დინამო" 19 სექტემბერს თბილისში გამართავს, ხოლო საპასუხო შეხვედრას კი 21 სექტემბერს სტუმრად ჩაატარებს.

წარმატებას ვუსურვებთ ევროპულ სარბიელზე თბილისის "დინამოს".

ირაკლი ნიკოლეიშვილი

ხან ტიბრანას თამაშობ და
ხან თამაშობ დიდკაც ნიკოს,
კამათელსაც აგორებ და
სულ დუშაში შენკენ იყოს.

"ყარაყუმის ტორტი"



3 კვერცხი და 2 ჭიქა (200 გრამიანი) შაქარი დიდხანს თქვიფეთ, დაუმატეთ ვანილი, 100 გრ კარაქი ან მარგარინი "დაჩა", 3 შეკვრა (25 გრამიანი) კაკაო, 500 გრ მაწონი, 2 ჩ/კ სოდა, 2 ჩ/კ ძმრით და 3 ჭიქა ფქვილი, ესეც 200 გრამიანი ჭიქით. კარგად ათქვიფეთ, დაასხით თბილ ჟარონაზე, რომელსაც არაფერს წაუსვამთ. გამოვაცხოთ ქურაში.

კრემი: 2 ცალი მოხარშული სგუშონი და 300 გრ კარაქი ან "დაჩა" ათქვიფეთ კარგად, დაუმატეთ 1 სუფრის კოვზი უნალექო ყავა, 1 სუფრის კოვზი კონიაკი და ვანილი. ეს მასა მოასხით გაცივებულ ბისკვიტს და ზემოდან დაახეხეთ შავი შოკოლადი.

შენიშვნა: გამოიყენეთ კარაქი ან "დაჩა", "დაჩა" ძალიან მსუბუქია და ბისკვიტსაც და კრემსაც ამსუბუქებს.

ცომი ჩაასხით განიერ ფორმაში, იმიტომ, რომ მაღალი ბისკვიტი არ უხდება ამ ნამცხვარს.

გამოცხობის შემდეგ ბისკვიტი დატოვეთ ფორმაში და ისე დაასხით კრემი (მთლიანად).

უმჯობესია დატოვოთ მთელი ღამით, კრემი კარგად დაარბილებს და სასიამოვნოს გახდის.

ბერძნული სალათი

შემადგენლობა

სალათის ფოთლები _ 50 გრ
კიტრი _ 1 ცალი
წითელი ხახვი _ 1/2 ცალი
ზეთის ხილი _ 30 ცალი
ყველი "ფეტა" _ 200 გრ
ზეითუნის ზეთი _ 70 მლ
ღვინის ძმარი _ 2 ს/კ
ნიორი _ 1 კბილი
ლიმონი _ 1 ცალი
მარილი _ გემოვნებით
წიწაკა _ გემოვნებით
პომიდორი _ 1 ცალი
შაქარი _ 1 ჩ/კ

მომზადება

სალათის ფოთლები დავჭრათ და ჩავყაროთ ჯამში.

პომიდორი დავჭრათ დიდ კუბიკებად და დავამატოთ სალათის ფოთლებს.

ხახვი დავჭრათ თხელ რგოლებად და ასევე ჩავდოთ სალათში. კიტრი გავფცქვნათ და დავჭრათ კუბიკებად.

ზეთის ხილი გავჭრათ შუაზე, ნაწილი წვრილად დავჭრათ და ცალკე შევინახოთ (დაგვჭირდება შესაკმაზად).

ოხრახუშის პატარა კონა წვრილად დავჭრათ და ჩავყაროთ ჯამში.

ყველი "ფეტა" დავჭყლიტოთ ჩანგლით და დავამატოთ სალათას.

ყველაფერი კარგად ავურიოთ. ცალკე მოვამზადოთ შესაკაზმი ზეითუნის ზეთის, წვრილად დაჭრილი ზეთის ხილის, ღვინის ძმრის, წვრილად დაჭრილი ნივრის და 1 ჩ/კ შაქრისგან. ასევე დავამატოთ ლიმნის წვენი.

ყველაფერი მოვათავსოთ ჯამში და კარგად ავურიოთ. დავასხათ ეს სითხე სალათს და ავურიოთ.

ვულოცავთ!

ქალბატონ მაქვალა კანდელაკს!

ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს, ნიჭიერ ქალბატონს პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს.

უფალმა გაგაძლიეროთ, იდღეგრძელეთ!

"სამტრედიის მაცნე"

ქალბატონ თინა წითელიშვილს!

დაბადების დღეს გილოცავთ არაერთი თაობის აღმზრდელ პედაგოგს, მზრუნველ დედას, მოსიყვარულე ბებიას!

მრავალს დაესწარით შთამომავალთა კეთილდღეობით მოგვრილი სიხარულით, ჯანის სიმრთელითა და სულის სიმხნევით!

ზოია პაპავა

ბატონ ნუგზარ მიქაძეს!

სახელოვან იუბილეს გილოცავთ, იხარეთ, იდღეგრძელეთ!

გიგანტი ბიბილეიშვილი ოჯახით

ნუგზარ მიქაძეს!

დაბადების დღეს ვულოცავთ ბატონ ნუგზარ მიქაძეს, კარგ ადამიანს, წარმატებულ პედაგოგს და სპორტსმენს. ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და საუკეთესო ოცნებების რეალიზებას ვუსურვებთ მას!

უახლოესი მეგობრები

ეთერ (ცუცქი) სტურუას!

სამტრედიის მე-11 საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი დაბადების დღეს ულოცავს ქალბატონ ეთერ (ცუცქი) სტურუას და წარმატებებს უსურვებს მას როგორც პირად ცხოვრებაში, ისე პედაგოგიურ მოღვაწეობაში.



გრიგოლ (გოგა) ვაშაკიძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო გოგა, ღმერთმა გიმრავლოს ბედნიერებით სავსე დღეები. გვიყვარხარ და გვეამაყები, იმიტომ, რომ შენ ჩვენი ნინოს შვილი ხარ, ჭკვიანი, ერუდირებული, კარგი ქართველი. შენნაირ თაობებზე დგას ჩვენი ქვეყნის მომავალი და ასეც უნდა იყოს. გაიხარე და გაძლიერდი!

"სამტრედიის მაცნე"

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა